9996

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
27 ოქტომბერი
1940 წ.
№ 251 (5952)
ფასი 10 კაპ.

მოსკოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხანაგ სტალინს

სსრ კავშირის სახკომსაბჭო—ამხანაგ მოლოტოვს

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს მთავრობის მიერ 1940 წლისათვის დაწესებული გეგმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადებისა.

1940 წლის 25 ოქტომბრისათვის დამზადებულია 51.160 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ანუ წლიური გეგმის 100,1 პროცენტი. ფაბრიკებისათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლის რაოდენობა 1939 წლის ფაქტიურ დამზადებას აღემატება 6.295 ტონით. პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრეფილია 30.057 ტონა.

25 ოქტომბრისათვის „საქართველოს ჩაის" ტრესტის ჩაის ფაბრიკებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 8.450.000 კილოგრამი ბაიხის ჩაი.

მზა პროდუქციის ჩაბარება და ფოთლის კრეფა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
კ. ჩარკვიანი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს
თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე

საქართველომ შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს 1940 წლის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა-დამზადების გეგმები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო უპატაკებენ ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს** და მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს** იმის შესახებ, რომ 25 ოქტომბრისათვის საქართველოში დამზადებულია 51.160 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით. ფაბრიკებისათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლის რაოდენობა 1939 წლის ფაქტიურ დამზადებას 6.295 ტონით აღემატება. პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი დამზადებულია 30.057 ტონა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების საქმეშიც. 25 ოქტომბრისათვის „საქჩაის" ტრესტის ჩაის ფაბრიკებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 8.450.000 კილოგრამი ბაიხის ჩაი.

ლენინ-სტალინის პარტია, პირადად დიდი **სტალინი**, საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საქართველოში ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის. ამ სტალინური მზრუნველობის განსახიერებას წარმოადგენს აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ."

ანხორციელებენ რა დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს, ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სერიოზული მუშაობა გასწიეს და ამჟამადაც ეწევიან ჩაის მეურნეობის და მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის. ისინი მთელ მუშაობას ჩაის დარგში მიმართავენ იქითკენ, რომ სასახელოდ შეასრულონ დიდი სტალინის საბრძოლო დავალება საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების საქართველოს ჩაით ძირითადად უზრუნველყოფის შესახებ.

პარტიისა და მთავრობის 25 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, მოძმე უკრაინისა და საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობათა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, წინასაოქტომბრო სოციალისტურმა შეჯიბრებამ საქართველოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი აღაფრთოვანეს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ჩვენში ცოტა როდი არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ჩაის მაღალ მოსავალს იღებენ. ამას ისინი აღწევენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა ურყევად გატარების, შრომის მოწესრიგებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების კოლმეურნეობამ წელს ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 3.480 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ხოლო სტახანოველ გრიგოლ ხურციძის ბრიგადამ — 5.865 კილოგრამი. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ეწრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 3.000 კილოგრამამდე აღწევს. მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ, რომელიც უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობას ეჯიბრება, წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 2.600 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე 5.000-6.000 კილოგრამი. ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის ორდენოსან საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ოთხი წლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 2.792 კილოგრამს უდრის.

ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში გამოიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც თავდადებული შრომით აღწევენ ჩაის მაღალ მოსავალსა და შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო ზრდას. სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე როგორც 1939 წელს, ისე 1940 წელსაც ყველა მნახველის ყურადღებას იპყრობდა მთელს საქართველოში სახელმოხვეჭილი ქიონია სარსანია, რომელმაც, 0,8 ჰექტარზე მოჰკრიფა 11.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სრულ ჰექტარზე გადაყვანით ეს შეადგენს 13.600 კილოგრამს. ეს ჩაის მოსავლიანობის მსოფლიო რეკორდია. ჩაის კრეფაში შრომის მაღალი ნაყოფიერების მოცემით ჩვენში ცნობილი არიან უშა ახუბა, ცაცა ქარდავა (აფხაზეთი), ჟონა კილაძე (ლანჩხუთის რაიონი), ხატიჯე კაკაბაძე (ქობულეთის რაიონი). ასეთები ბევრია.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და მზა პროდუქციის ჩაბარება ამჟამადაც გრძელდება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოში არ დარჩეს არცერთი რაიონი, კოლმეურნეობა, ბრიგადა და საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მთლიანად და გადამეტებით არ შეასრულებს ჩაის კრეფა-დამზადების გეგმას.

ჩაის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების წინაშე დგას საბრძოლო ამოცანა — არ დაკმაყოფილდნენ მიღწეული წარმატებებით. პარტიისა და მთავრობის 25 აპრილის ისტორიული დადგენილება, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სუბტროპიკების აყვავების სტალინურ გეგმას, გვავალებს მთელი სერიოზულობით მოვეპყრათ ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს. მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების წარმატებით შესრულება სწყვეტს 1941 წელს ჩაის მაღალი მოსავლის მიღების საკითხს. ამიტომ ჩაის ისეთი სამუშაოები, როგორიცაა ჩაისათვის ნიადაგის მომზადება, ჩაის თესვა, პლანტაციების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, სასუქების შეტანა, სადრენაჟო ქსელის სრულ წესრიგში მოყვანა, ჩატარებულ უნდა იქნას აგროწესების სრული დაცვით, ვადაზე და მაღალხარისხოვნად. ჩაის რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მორიგი სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან და ეს გამოცდა მათ ბრწყინვალედ უნდა ჩააბარონ.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან აგრეთვე ჩაის ფაბრიკები. მიმდინარე წლის ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების გეგმების ხარისხების დაცვით შესრულებასთან ერთად, ისინი ამთავითვე უნდა შეუდგნენ მზადებას 1941 წლის ჩაის კრეფის სეზონისათვის. „საქჩაის" ტრესტის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს მიმდინარე წლის შეცდომები, როდესაც სეზონის დაწყებისას ზოგიერთი ჩაის ფაბრიკა ყოველმხრივ არ იყო მზად ნედლეულის მიღებისა და გადამუშავებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკები, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული რაზმი, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. **ლავრენტი ბერიას** მიერ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, კიდევ უფრო განამტკიცებენ მოპოვებულ წარმატებებს ჩაის დარგში და უფრო ენერგიულად გაშლიან მუშაობას სხვა კულტურებთან ერთად ჩაის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ოპერა „ენხე-ბულატ ბატორის" დიდი წარმატება

წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი და ა. ს. შჩერბაკოვი.

25 ოქტომბერს ბურიატ-მონღოლურმა მუსიკალურ - დრამატიულმა სახელმწიფო თეატრმა კვლავ დასდგა პირველი ნაციონალური ოპერა „ენხე-ბულატ ბატორი" („ენხე — ფოლადის დევგმირი"), რომელიც უკვე დადებითად შეაფასა დედაქალაქის საზოგადოებრიობამ. ამჯერად წარმოდგენა სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე დაიდგა. პარტერი, ლოჟები და აივნები გაჭედილი იყო ხალხით.

საუცხოო, შინაარსიანი სპექტაკლი, რომელიც შეუქმნიათ ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის დრამატურგს სახალხო არტისტ ნ. გ. ბალდანოს, კომპოზიტორ პროფ. მ. პ. ფროლოვს და დამდგმელ ი. მ. თუმანოვს, გვიჩვენებს, თუ რა დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ხალხური შემოქმედების საუნჯე მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად. ბურიატ-მონღოლური საგმირო ეპოსის „შონობატორის" სახეებმა ღირსეული განსახიერება ჰპოვეს ამ სპექტაკლში. ხალხური ჰანგები, რომლებმაც კომპოზიტორს საკმაოდ ბევრი ნაირნაირი მუსიკალური თემა მისცეს, მელოდიურად და გამომეტყველებით ჟღერდნენ.

უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა ცეკვამ, რომელიც ბალეტმეისტერმა ი. ა. მოისეევმა დადგა. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა მხედართა ცეკვას ხანის კარავში, რაც ოსტატურად შეასრულეს ახალგაზრდა მსახიობებმა.

დიდი თეატრის სცენაზე ლამაზი კოსტიუმები და დადგმის დეკორაციული გაფორმება კიდევ უფრო ეფექტიანი გამოჩნდა, ვიდრე ამ თეატრის ფილიალში დადგმისას.

ნიჭიერმა მსახიობებმა—ბურიატ-მონღოლი ხალხის შვილებმა — ნ. კ. პეტროვამ, ი. ნ. ბატურინმა, ბ. მ. ბალდაკოვმა და სხვებმა შექმნეს დაუვიწყარი სახეები, რომელნიც მათს მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მოწმობენ.

დადგმას, ისევე როგორც წინა დღეებში, დიდი წარმატება ჰქონდა მაყურებელთა შორის, რომლებიც განსაკუთრებით მხურვალედ და გულითადად მიესალმნენ მის მონაწილეთ და ავტორებს.

წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი და ა. ს. შჩერბაკოვი.** (საკდესი).

საკდესის ცნობა

იაპონურ გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ 26 ოქტომბერს უნდა მოხდეს იაპონიის ელჩის ბ-ნ ტატეკავას შეხვედრა ამხ. სტალინთან.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით მიმდინარე წელს დასვენების დღედ 10 ნოემბრის კვირის ნაცვლად გამოცხადებულია 9 ნოემბერი—შაბათი.

კონკურსი ოქტომბრის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოსურათის სცენარზე

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი დახურულ კონკურსს აწყობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოსურათის სცენარზე. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი მწერლები, დრამატურგები და სცენარისტები. მათს წინაშე დასმულია ამოცანა — მხატვრული სახეებით დაგვიხატონ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა მიერ წარმოებული გმირული ბრძოლა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისათვის. სცენარებმა უნდა გვიჩვენონ საბჭოთა ეპოქის საუკეთესო ადამიანები, ჩვენი სამშობლოს პატრიოტები—პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი მებრძოლები და მეთაურები, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, სოციალიზმის მშენებლობა ახალ საბჭოთა რესპუბლიკებში.

კონკურსის მონაწილე ავტორებმა დამთავრებული ლიტერატურული სცენარები უნდა წარადგინონ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებისათვის. სცენარები შეიძლება ყოველი ჟანრით დაიწეროს —გმირული ეპოპეა, ტრაგედია, ისტორიული ან ყოფაცხოვრებითი დრამა, ლირიკული ან მუსიკალური კომედია და სხვ. კონკურსზე ხელნაწერის წარდგენის უკანასკნელი ვადა არის 1941 წლის 1 ივლისი.

ჟიურის შემადგენლობაში შევლენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, გამოჩენილი კინორეჟისორები, მწერლები და დრამატურგები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობას არ იღებენ. შეტანილ სცენარების შესახებ ჟიურის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება არაუგვიანეს 1941 წლის 1 აგვისტოსი.

გარდა ჰონორარისა, რომელიც ყველა მიღებული სცენარის ავტორს ეძლევა, საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორისათვის დაწესებულია 6 პრემია: პირველი — 75.000 მანეთიანი, ორი მეორე პრემია—50.000 მანეთიანი და სამი მესამე პრემია — 25.000 მანეთიანი. (საკდესი).

საარჩევნო კამპანია კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკასა და უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში

ბელოსტოკის საარჩევნო უბნებში

ბელოსტოკი, 25 ოქტომბერი. ბელოსტოკის 500 აქტივისტი მასალას ამზადებს ამომრჩეველთა სიების შესადგენად. მათ რეგისტრირებული ჰყავთ ათი ათასობით კაცი. ათასობით აგიტატორი განუმარტავს მოსახლეობას საარჩევნო დებულებას.

ქალაქში შესდგა ინტელიგენციის კრება. სიტყვა წარმოსთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. პრიტიცკიმ, ექიმმა ამიელმა, მასწავლებელმა ბალიცკაიამ და სხვებმა, რომლებმაც მოუწოდეს შეკრებილთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში.

სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის წესის უხეში დარღვევა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა მოსკოვის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში შეამოწმა, თუ როგორ სრულდება ბრძანება სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის ახალი წესის შესახებ. 26 ოქტომბერს კომიტეტმა მოისმინა ცნობა იმის შესახებ, რომ დადგენილ წესს უხეშად არღვევენ მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ფრიადოსანი სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნა შეუწყნარებლად ნელა ხდება. გარდა ამისა, სტიპენდიები ისეთ სტუდენტებს ენიშნებათ, რომლებმაც გაზაფხულის საგამოცდო სესიაზე ორმესამედზე ნაკლები ფრიადი შეფასება მიიღეს, ან რომლებსაც დამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ. სტიპენდია დანიშნული აქვთ აგრეთვე პირველი კურსის ზოგიერთ სტუდენტს, რომლებიც საშუალო სკოლების ფრიადოსნები არ არიან. ინსტიტუტში დაშვებული იყო იმ დისციპლინების ხელახლად ჩაბარება სტუდენტების მიერ, რომლებშიც მათ გაზაფხულის სესიაზე მიიღეს შეფასება კარგი, დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელიც კი.

კომიტეტმა გააუქმა ინსტიტუტის ბრძანება სტიპენდიების დანიშვნის შესახებ. ინსტიტუტის დირექტორს წინადადება მიეცა ორი დღის ვადაში დაამთავროს სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის მიერ დადგენილი ახალი წესის შესაბამისად. (საკდესი).

სათხილამურო მომზადება მთავარია თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა სამხედრო სწავლების საქმეში

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, ავიაციის გენერალ-მაიორ პ. პ. კობელევთან ჩატარებული საუბრიდან

ახლოვდება ზამთარი. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები უნდა შეუდგნენ თავიანთ წევრთა საბრძოლო მომზადებას ზამთრის პირობებში.

სათხილამურო მომზადება სამხედრო სწავლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მოთხილამურეთა მთელ რაზმებს შეუძლიათ გზებს მოსცილდნენ და გაადიდონ თავიანთი მანევრირების უნარი.

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო რჩევას აძლევს თავის ყველა პირველადს ორგანიზაციას ფართოდ გაშალონ საზამთრო სწავლება და მთავარი ყურადღება მიაქციონ სათხილამურო სპორტის დაუფლებას.

თავდაცვა - ავიაქიმელი მოთხილამურის მომზადების პროგრამები იმ ანგარიშით უნდა სდგებოდეს, რომ 5-7 მეცადინეობის განმავლობაში (15-20 საათში) ასწავლოს მას თხილამურებით სიარული.

ჩვენი ოლქებისა და რესპუბლიკების უმრავლესობის ბუნებრივი პირობები განუსაზღვრელ შესაძლებლობას ჰქმნიან მასობრივი სათხილამურო სპორტის განსავითარებლად. თავდაცვა - ავიაქიმელებმა კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა ჩაატარონ სათხილამურო გასეირნება და ლაშქრობა 5-10 და მეტ კილომეტრზე.

მალე მოეწყობა თავდაცვა ავიაქიმელთა გასამხედროებული სათხილამურო ლაშქრობანი. საჭიროა მივაჩვიოთ მოთხილამურეები გზებსა და დასახლებულ პუნქტებს დაცილებით იმოქმედონ ყოველგვარი სიმაღლის თოვლში, ყოველგვარი ტემპერატურის დროს — ყინვაშიაც და სითბოშიაც.

ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ იმგვარად მოვაწყოთ მთელი სათხილამურო მზადება, რომ იგი საინტერესო და სახალისო იყოს და ამასთან ერთად მაქსიმალურად დაუახლოვდეს თანამედროვე საბრძოლო ვითარებას. საჭიროა მოეწყოს ტაქტიკური მეცადინეობა თხილამურებით, ჩატარდეს მარშები წითელი არმიის წესდებათა შესაბამისად, რასაც თან უნდა ახლდეს დაზვერვა, დაცვა, კოლონების დანაწილება, დაბრკოლებათა გადალახვა, „საომარი მასალების" და იარაღის გადატანა სათხილამურო დანადგარებით, გადაძრომა, თავისთვის სანგრის გაკეთება, ყუმბარების ტყორცნა და სხვ. (საკდესი).

კ ო მ უ ნ ი კ ე

დუნაის ერთიანი კომისიის ორგანიზაციის შესახებ

უკანასკნელ ხანს სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის მთავრობას შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად და იტალიის მთავრობის თანხმობით საჭიროდ იქნა ცნობილი როგორც დუნაის საერთაშორისო კომისიის, ისე დუნაის ევროპული კომისიის ლიკვიდაცია და ამ კომისიების ნაცვლად დუნაის ერთიანი კომისიის შექმნა სსრ კავშირის, გერმანიის, იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, სლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებისაგან.

დუნაის ერთიანი კომისია მოწოდებულია მოაწესრიგოს ნაოსნობის საკითხები დუნაის მთელ მანძილზე მისი შესართავიდან ქ. ბრატისლავამდე (სლოვაკია).

ზემოაღნიშნულ საკითხზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ა. წ. 28 ოქტომბერს ბუქარესტში სსრ კავშირის, გერმანიის, რუმინეთისა და იტალიის ექსპერტებს — წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება დაიწყება საზღვაო დუნაიზე (მისი შესართავიდან ქ. ბრაილამდე) დროებითი საერთაშორისო უფლებრივი რეჟიმის მოსაწესრიგებლად.

საბჭოთა მთავრობამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალურ მდივანს ამხ. ა. ა. სობოლევს დაავალა მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის მხრივ, როგორც მთავარმა ექსპერტმა, იმ მოლაპარაკებაში, რომელიც ბუქარესტში შესდგება.

გემ „ბუის" ეკიპაჟის თავგანწირულება

ლენინგრადი. ლადოგის ტბაზე გრიგალი მძვინვარებდა. მას შეეძლო სულ მიეფანტ-მოეფანტა ხე-ტყის ტივები, რაც გემ „ბუის" ბუქსირით მიჰქონდა სვირიციდან შლისელბურგს. გემზე სათბობის მარაგი გამოილია. მეორე გემი „ბოევოი", რომელსაც ნახშირი მიჰქონდა „ბუისათვის", გაირიყა.

გემ „ბუის" კაპიტნის პირველმა თანაშემწემ კომკავშირელმა პიჟოვმა, გრიგალის მიუხედავად, სათბობის გადატანა იკისრა. მან თან წაიყვანა მატროსი მიხაილოვი, სუდარევი, სტრელნიკოვი, მეცეცხლური ანტიშინი და რამდენიმე საათის განმავლობაში პატარა კანჯოთი გადაჰქონდა ნახშირი. სულ „ბუიზე" ექვსი ტონა ნახშირი გადაიტანეს.

მალე კვლავ აანთეს ბუქსირის საცეცხლეები. გემი მშვიდობით ჩავიდა შლისელბურგს და თან ჩაიტანა ტივად შეკრული ხე-ტყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილი

დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

დღეს ორდენოსანი საქართველოს მშრომელები დიდი ზეიმით აღნიშნავენ დიდი ქართველი პედაგოგის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, XIX საუკუნის ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი ცნობილი მესვეურის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

ცარიზმის ქუსლით გათელილ საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში კაშკაშა ჩირაღდანით შემოიჭრნენ დიდი ილია, აკაკი, ვაჟა, რომელთა გვერდით ღირსეული ადგილი დაიკავა ქართველ პესტალოცად, ქართველ უშინსკად აღიარებულმა დიდებულმა ადამიანმა—იაკობ გოგებაშვილმა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავს დასტრიალებდა იგი თავისი საყვარელი სამშობლოს მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმეს, ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის. ამ სასიქადულო ადამიანს თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის უმთავრეს საგნად აღებული ჰქონდა მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, მისი წარმატება, იგი დაკარგულად სთვლიდა ყოველ წამსაც კი, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის არ ჰქონდა გამოყენებული. ის მთელი არსებით იწვოდა სამშობლოსათვის, მას ახალისებდა მისი ლხენა, ბედნიერი იყო სამშობლოს ბედნიერებით, ხოლო აღაშფოთებდა, ბრძოლის სურვილს უძლიერებდა მისი უბედობა.

ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან და XIX საუკუნის სხვა პროგრესიულ მოღვაწეებთან ერთად იგი მრისხანედ ესხმოდა თავს ყველა შავრაზმელ პოლიტიკანებს: კორხანიდებს, იანოვსკებს, ლევიცკებს, ვოსტორგოვებს, შავ-ანაფორონსნებსა და ხალხთა საპყრობილედ აღიარებული მეფის რუსეთის ყველა აგენტს, რომლებსაც თავიანთ შავ დროშაზე ეწერათ: ქართული ყველაფერი გაჰქრეს, ქართული სახალხო სკოლა გახდეს გონების დახშვისა და სიბნელის კერად.

გოგებაშვილი შეურიგებლად იბრძოდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა სახალხო სკოლიდან განედევნა ქართული ენა. ილაშქრებდა რა ამ გარეწართა წინააღმდეგ, მან შეჰქმნა თავისი უკვდავი ქმნილება „დედა-ენა", რომელმაც კაშკაშა სხივებით გაანათა ჩვენი ქვეყნის მიყრუებული კუთხეებიც.

თავისი „დედა-ენით" გოგებაშვილმა ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა საქართველოს მშრომელთა გულში, სამუდამოდ შეაყვარა მათ მშობლიური ენა, გაუღვიძა წერა-კითხვის შესწავლის სურვილი. ძნელად თუ მოიძებნება ჩვენში იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც „დედა-ენით" შეუსწავლია წერა-კითხვა და ახლაც სიამოვნებით ჟრუანტელს არ ჰგვრიდეს მასში მოთავსებული ლექსების მოგონება.

ვინ მოსთვლის, რამდენ ათას და ათეულ ათას ბავშვს ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარულის, მისთვის თავდადების უანგარო გრძნობა პატარა „დედა-ენამ", რომელმაც იმავე დროს ნიადაგი შეურყია ქართული ენის მტრებს ცარიზმის ყვავ-ყორნებს.

„დედა-ენას" „ბუნების-კარი" მოჰყვა, „ბუნების-კარს" — „რუსკოე სლოვო". იშვიათი პედაგოგიური ხელოვნებით და მაღალი ოსტატობით შედგენილი ეს სახელმძღვანელოები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვრცელდებოდა საქართველოს სკოლებში. ეს იმ დროს, როცა ლევიცკები, კორხანიდები და ძმანი მათნი ტყავიდან ძვრებოდნენ და ყოველგვარი საშუალებებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სახალხო განათლების ამ ჩირაღდანთა გავრცელებისათვის.

ცარიზმის შავრაზმელთაგან გამუდმებული დევნა-შევიწროვება, დამცირება—აი, რა იყო ხვედრი ქართველი ხალხის ამ დიდი მოამაგისა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები სამართლიანად უწოდებდნენ ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს, ქართული ენის განმამტკიცებელს, საუკეთესო მასწავლებელსა და საზოგადო მოღვაწეს.

მისი ღვაწლის დაფასება, მისი მდიდარი მემკვიდრეობის გამოყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს პირობებში, როცა ბრწყინვალედ განხორციელებულია ის იდეა, რომელსაც გოგებაშვილი „სამშობლოს უკეთეს მერმისს" უწოდებდა.

დიადი სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზით უხვად განათებული ჩვენი სამშობლოს მშრომელები სიყვარულითა და პატივისცემით იგონებენ თავიანთ მოჭირნახულეს, მშობლიური ქვეყნის ახალგაზრდობის მასწავლებელს, მგზნებარე პატრიოტს და ღირსეულადაც აფასებენ მის ღვაწლსა და ამაგს.

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლის იუბილე, ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაქცეული, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იაკობის საყვარელი სამშობლო იცოცხლებს, კიდევ უფრო აყვავდება და არასოდეს არ დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილებს.

ი. გოგებაშვილის საიუბილეო კომისიაში

ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მომწყობი საქართველოს მთავრობის საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება 29 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, სამხატვრო გალერეის შენობაში.

გოგებაშვილის სამშობლო სოფ. ვარიანში 3 ნოემბერს მოეწყობა მიტინგი მთავრობის საიუბილეო კომისიის, საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის, რაიაღმასკომის, რაიონის კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

გადაწყვეტილია თბილისში თვალსაჩინო ადგილას დაიდგას ი. გოგებაშვილის ბიუსტი და მემორიალური დაფები—სოფ. ვარიანში, იმ სახლში, სადაც დაიბადა ი. გოგებაშვილი და თბილისში—ვეძინის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც ი. გოგებაშვილი ცხოვრობდა.

მთავრობის საიუბილეო კომისიის დადგენილებით საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი 1941 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინებს ი. გოგებაშვილის „ბუნების-კარისა" და «Русское слово»-ს რესტავრირებული სახით გამოცემას მასწავლებლებისა, ბიბლიოთეკებისა და პედაგოგიური კაბინეტებისათვის.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია

დამთავრდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, ი. ს. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი.

სესიის უკანასკნელი სხდომა, რომელიც 26 ოქტომბერს, საღამოს შესდგა, გახსნა პროფ. მ. გამრეკელმა. მოსმენილ იქნა მოხსენებანი: დოც. დ. ლორთქიფანიძისა — „ი. გოგებაშვილის დიდაქტიკა", პროფ. გ. ახვლედიანისა—„ი. გოგებაშვილი და ქართული ენის გრამატიკა", პროფ. ვ. თოფურიასი—„ი. გოგებაშვილი და „ქართული ანბანი", პროფ. ნ. კეცხოველისა — „ბუნების მეტყველება ი. გოგებაშვილის ნაშრომებში", პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა—„ი. გოგებაშვილი და ლ. ალიშანი" და დოც. დ. მგელაძისა—„ი. გოგებაშვილი, როგორც ქართული დაწყებითი სკოლების რუსული ენის სახელმძღვანელოს ავტორი".

სესიის განმავლობაში სულ მოსმენილ იქნა ათი მოხსენება, რომლებმაც გააშუქეს ი. ს. გოგებაშვილის ღირსშესანიშნავი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. (საქდესი).

28 ოქტომბერს, საღ. 8 ს., რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში შესდგება ქ. თბილისის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა

საზეიმო სხდომა

სახალხო განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა მონაწილეობით, მიძღვნილი ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

I. მოხსენება—„**ი. გოგებაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა**".

II. მხატვრული განყოფილება.

მთავრობის საიუბილეო კომისია

მოძმე უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

რადიოგადაცემების გაცვლა - გამოცვლა

26 ოქტომბერს საქართველოს სს რესპუბლიკის რადიოკომიტეტის ინიციატივით მოხდა მოძმე უკრაინისა და საქართველოს სს რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრებისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემების გაცვლა-გამოცვლა.

საქართველოდან რადიოგადაცემა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ.

საქართველოს სს რესპუბლიკის რადიოკომიტეტის მომღერალთა გუნდმა ორკესტრის თანხლებით ქართულად და უკრაინულად შეასრულა სიმღერა სტალინზე.

რადიოგადაცემაში ჩაებნენ ტყიბულის მაღაროელნი.

ტყიბულის მიკროფონთან არის ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ მმართველის მოადგილე, ტრესტის მთავარი ინჟინერი ი. მალალაშვილი. იგი ლაპარაკობს იმ ბრძოლაზე, რომელსაც საქართველოს მაღაროელნი ეწევიან, რათა განახორციელონ დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის მოთხოვნილება ადგილობრივი ქვანახშირით უზრუნველყოფილ იქნას.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის წარმატებებზე ილაპარაკა მაღაროს უფროსმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა გ. ნ. გორგიძემ.

მიკროფონთან არის წარჩინებული მნგრეველი, ლენინის ორდენით დაჯილდოებული ვ. ს. ცირეკიძე, რომელიც იუწყება, რომ მან წლიური გეგმა 6 თვის განმავლობაში შეასრულა.

გადაცემაში კვლავ ებმება თბილისი. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ბრაგინი კითხულობს მოძმე უკრაინისადმი მიძღვნილ ლექსს.

ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა გადაცემა თბილისიდან.

უკრაინის მშრომელნი ისმენდნენ სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილს, საკოლმეურნეო სიმღერას, რომელიც შეასრულა მომღერალთა გუნდმა მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებებზე ილაპარაკა უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ყიფშიძემ.

თბილისიდან გადაცემა დამთავრდა დიდი რადიოკონცერტით.

იწყება გადმოცემა უკრაინიდან.

საქართველოს მშრომელთ მიესალმა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დუშკო. მიკროფონთან არიან სტალინოს, კრივოი როგის მაღაროელნი. ისინი გვაცნობენ თავიანთ საწარმოო წარმატებებს. საქართველოს მაღაროელებს მიესალმა კრივოროჟიეს წარჩინებული მბურღავი ალექსი სემივოლოსი.

თავის მუშაობის გამოცდილება გაგვიზიარა ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შლიკოვმა. ამ კოლმეურნეობას შეჯიბრება აქვს მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობასთან.

ორდენოსანი პოეტის მიკოლა ბაჟანის გამოსვლის შემდეგ კიევიდან გადმოცემულ იქნა დიდი რადიოკონცერტი. (საქდესი).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან ოქტომბრის დღესასწაულს

ბათუმი (საკ. კორ.). ბათუმის საწარმოებში წარმატებით სრულდება წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით აღებული ვალდებულებები. ლ. ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სამსხმელო საამქრომ (უფროსი—ამხ. ლ. სვანიძე) აღებული ვალდებულება მანქანების მთელი რიგი ნაწილების ჩამოსხმის მხრივ ჯერ კიდევ 20 ოქტომბრისათვის 114 პროცენტით შეასრულა. ასევე სასახელო მაჩვენებლებით ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს ქარხნის სამექანიკო, საამწყობო, საზეინკლო საამქროები, რომლებსაც გ. მამინაშვილი და მ. დიასამიძე ხელმძღვანელობენ.

ვალდებულებათა შესრულების საქმეში საუკეთესო მაგალითებს იძლევიან მრავალდაზგოსანი მ. დისკოვსკის, მ. კარაგოზოვის, მ. პეტროსიანისა და ნ. ფილიპოვის ზეინკალთა სტახანოვური ბრიგადები.

სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის, რათა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნოს ოქტომბრის დღესასწაული. № 1 საამქრომ ბენზინის გადამუშავების 20 დღის პროგრამა 104 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნავთის გადამუშავების 125 პროცენტით. კერძოდ, № 17 დანადგარის ა. მოლა-ოღლის ცვლამ ბენზინის გადამუშავების ეს პროგრამა 102 პროცენტით შეასრულა. ოქტომბრის 23 წლისთავის სახელობის დანადგარმა, რომელსაც გ. უვარიანი ხელმძღვანელობს, გადამუშავების ვალდებულება 110 პროცენტით შეასრულა, № 4 საამქრომ კი ასფალტის დამზადების გეგმა—118 პროცენტით.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების აღებულ ვალდებულებას წარმატებით ასრულებს აგრეთვე ბათუმის სავაგონო დეპო. საკლასო ვაგონების შეკეთებაზე მომუშავე საამქრომ, რომელსაც გ. ბიბილაშვილი ხელმძღვანელობს, აღებული ვალდებულება ვადამდე შეასრულა, 25 ოქტომბრისათვის შეკეთებიდან 15 საკლასო ვაგონი გამოუშვა და გეგმა 100 პროცენტით შეასრულა.

აღებული ვალდებულებები შეასრულეს

წითელწყარო, 26 ოქტომბერი (ტელეგრ. საკ. კორ.). საქნავთის ტრესტის წითელწყაროს ბურღვის კანტორის კოლექტივმა, რომელსაც წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება ოქტომბერში შეესრულებინა ბურღვის წლიური გეგმა, უკვე გაანაღდა პირობა 25 ოქტომბრისათვის. საძიებო და საექსპლოატაციო ბურღვის წლიური გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, გადაჭარბებით შესრულდა თვით ოქტომბრის საძიებო ბურღვის გეგმაც, ნაცვლად 450 მეტრისა, 25 ოქტომბრისათვის გაბურღილია 1176 მეტრი, რაც გეგმის 261,3 პროცენტს შეადგენს.

ოქტომბერში ვადაზე ადრე დამთავრდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ხუთი ახალი ჭაბურღილი. წინასწარი, არაზუსტი ცნობებით, ოქტომბერში ბურღვის თვითღირებულება შემცირებულია 17 პროცენტით, ხოლო ბურღვის სისწრაფე გადიდებულია 46 პროცენტით.

გაუმჯობესდა ნავთის ამოღებაც. მირზაანის სარეწაომ 25 ოქტომბერს ნავთის ამოღების დღიური დავალება 96,6 პროცენტით შეასრულა, პატარა შირაქისა კი უკანასკნელ ხუთდღიურში ნავთის ამოღების ყოველდღიურ დავალებას 106 პროცენტით ასრულებს.

თეატრები ჩაებნენ შეჯიბრებაში

26 ოქტომბერს მარჯანიშვილის სახ. თეატრში შესდგა თეატრის მუშაკთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რუსთაველის, გრიბოედოვისა და სომხური დრამის თეატრების წარმომადგენლები, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ბ. გოგუა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ი. გვინჩიძე. მარჯანიშვილის თეატრის სახელით ამხ. შ. ღამბაშიძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რუსთაველის თეატრი და აიღო მთელი რიგი ვალდებულებანი. რუსთაველის თეატრის დირექტორმა ამხ. აკ. ვასაძემ გამოწვევა მიიღო და თავის მხრით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გრიბოედოვის თეატრი. სოცშეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე გრიბოედოვის თეატრი და მისი გამოწვევით სომხური დრამის თეატრი. 29 ოქტომბერს აღნიშნული თეატრები თავიანთი მუშაკების საწარმოო თათბირზე შეიმუშავებენ ვალდებულებებს და 30 ოქტომბერს გაფორმდება სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. შეჯიბრების შესაჯამებლად გამოყოფილია ჟიური, რომელშიაც შედიან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, ხელოვნების მუშაკთა კავშირის, „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ წარმომადგენლები.

ნაკისრ ვალდებულებას ბოლშევიკურად ანაღდებენ

სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად განაღდებისათვის. კომბინატმა 18 ოქტომბერს დღიური საწარმოო გეგმა 320 პროცენტით შეასრულა—4.100 პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად 12.475 პირობით ქილა კონსერვი დაამზადა.

კომბინატის პირველმა და მეორე ცვლამ იმავე დღეს დავალება 300 - 300 პროცენტით შეასრულეს.

შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან სტახანოველები ს. ამაღლობელი, შ. გეგეშიძე, თ. შუბლაძე, შ. კუპრავა და სხვები, რომლებიც დღიურ გეგმას 270 - 300 პროცენტით ასრულებენ.

6.700 ცენტნერი ყურძენი გეგმის გადამეტებით

ბორჩალო, (საქდესი). ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ყურძნის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მოკრეფილია 8.230 ცენტნერი ყურძენი, რაც დავალების 105 პროცენტს შეადგენს. საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 55 ტონა ყურძენი, რითაც შეასრულა თავისი ვალდებულება ჩაბარების დარგში.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელიც წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაება, ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 6.700 ცენტნერი ყურძენი.

ქართლის რაიონების შემდგომი აყვავებისათვის

დადგენილებას შრომის ნაყოფიერების ზრდით უპასუხებენ

ხაშური, (ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორ). ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში უდიდესი აღფრთოვანებით გრძელდება გაცნობა პარტიისა და მთავრობის დადგენილებისა ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი ამავლობის ღონისძიებათა შესახებ. ყველგან იმართება პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეთა კრებები. კოლმეურნეები აღფრთოვანებით აღნიშნავენ, რომ პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია, რომლის ურყევად განხორციელება უზრუნველჰყოფს ქართლის რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომ ზრდას.

ამ დადგენილებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობები და კოლმეურნეები კისრულობენ ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს, რომელთა შესრულებისათვის ბრძოლა უკვე გაიშალა. სოფ. ალის, ვაყის, ტკოცის და ხცისის კოლმეურნეობებმა იკისრეს სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე გაადიდონ 15 ცენტნერიდან 20 ცენტნერამდე, შაქრის ჭარხლისა კი—300 ცენტნერამდე.

რაიონის კოლმეურნეობებში გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. უკანასკნელ ხუთდღიურში ორჯერ მეტი ფართობი მოიხნა და დაითესა. 92 კოლმეურნეობიდან შაქრის ჭარხალი აღებულია 70 კოლმეურნეობაში. სოფ. კაკალათხევის ვოროშილოვის სახელობის და სოფ. ალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებმა, სოფ. ტკოცის კოლმეურნეობა „წითელმა ლაშქარმა“, სოფ. ოსიაურის კოლმეურნეობა „მშრომელმა გლეხმა“ ხვნა-თესვის გეგმა 120 პროცენტამდე შეასრულეს. სოფ. ალის, ოსიაურის, ქვიშხეთის და ბევრ სხვა კოლმეურნეობებში დაიწყეს მუშაობა ვენახის და ხეხილის ორჯერ მეტ ფართობზე გასაშენებლად, ვიდრე ეს გათვალისწინებული ჰქონდათ. სოფ. ქვიშხეთის კოლმეურნეობაში კარტოფილისა და ბოსტნეულისათვის დამატებით მზადდება ხუთი ჰექტარი ფართობი.

რაიონში ხეხილის ბაღების ფართობი გაიზრდება 2.000 ჰექტარამდე. მიღებულია ზომები დადგენილებით გათვალისწინებული საუკეთესო ჯიშის ხეხილის ნერგების შესაძენად.

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში

დუშეთი, 26 ოქტომბერი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ქალაქად თუ სოფლად, მთაში თუ ბარში დღეს ყველა ქართლის რაიონების აყვავების სტალინურ გეგმაზე ლაპარაკობს.

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის ბიურომ ჯერ კიდევ 23 ოქტომბერს რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები გაგზავნა კოლმეურნეობებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 15 ოქტომბრის დადგენილების გარშემო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად.

აგიტატორები ატარებენ ცოცხალ საუბრებსა და გაზეთების ხმამაღლა კითხვას.

კოლმეურნეთა საერთო კრებებზე კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყურადღებით, ახალი ენტუზიაზმით აფართოებენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას და კისრულობენ ახალ ვალდებულებებს.

სოფ. მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებამ დადგენილების საპასუხოდ იკისრა: მეძროხეობის ფერმის დაკომპლექტება 28 ძროხით, საშემოდგომო თესვის დამთავრება 5 ნოემბრამდე, მზრალად ხვნის გეგმის გადამეტებით შესრულება 15 ნოემბრამდე იმ ანგარიშით, რომ გაზაფხულზე ყველა კულტურა მზრალად მოხნულ ფართობზე დაითესოს. ყოველი კოლმეურნე კისრულობს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე 20-20 ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილის დარგვას. მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა ერთი კვირის განმავლობაში დაამთავროს ახალი ბოსლის მშენებლობა.

26 ოქტომბერს სოფ. თანიანთკარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებამ აღფრთოვანებით მოისმინა ამხ. ნ. ხეთაგურის ინფორმაცია 15 ოქტომბრის დადგენილების შესახებ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ შაქრო აღნიაშვილმა განაცხადა, რომ კოლმეურნეობას შეუძლია 1945 წლისათვის აითვისოს 10 ჰექტარი მიწის ფართობი ვენახისა და ხეხილის გასაშენებლად. ამ წინადადებას კრება ერთსულოვანი მოწოდებით შეხვდა. კოლმეურნეობამ იკისრა 1941 წლისათვის გააშენოს 4 ჰექტარი ვენახი, ხოლო 1945 წლის დამლევისათვის ვენახის ფართობი 8 ჰექტარამდე აიყვანოს.

კოლმეურნეები კრებებზე აღფრთოვანებით აცხადებენ, რომ არხისა და ელსადგურის სამუშაოზე ფერგანული მეთოდით იმუშავებენ და უმოკლეს ვადაში შეასრულებენ პარტიისა და მთავრობის დავალებას.

მეცხოველეობის სპეციალისტები, მემინდვრეობის აგრონომები და ოსტატები, რაიონის მთელი კულტურული ძალები უკვე შეუდგნენ რაიონის გამოუყენებელი რესურსების გაანგარიშებას, ემზადებიან რა რაიონული თათბირისათვის, რომელიც 3 ნოემბერს არის დანიშნული და რომელზედაც განხილული იქნება კონკრეტული ღონისძიებანი 15 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია

ჩხარი, 26 ოქტომბერი (ტელეგრაფით). ჩხარის რაიონმა 25 ოქტომბრისათვის ყურძნის დამზადების გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 2.240 ტონის ნაცვლად სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 2.253 ტონა.

ყურძნის დამზადება გრძელდება.

დ. კაპანაძე

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივანი.

ქარელელ კოლმეურნეთა ახალი საწარმოო ენტუზიაზმი

ქარელი, 26 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მშრომელნი უდიდესი აქტივობით იხილავენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებას და სახავენ ღონისძიებებს სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, მეცხოველეობის, მებოსტნეობის და სხვ. განსავითარებლად.

სოფ. ვედრებში კოლმეურნე შუბითიძემ იკისრა საკარმიდამო ნაკვეთზე გააშენოს 30 ძირი ხეხილი. კალატოზმა გ. როსტომოვმა სოფ. ატოცის კოლმეურნეთა საერთო კრებაზე აიღო ვალდებულება გააკეთოს სოფლის წყაროს სათავე.

რაიონის კოლმეურნენი, აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ. სოფ. ზემო-შაქშაქეთის, საკირეთის, ბრეთის და სხვა კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებულ 392 ჰექტარზე დაამთავრეს საშემოდგომო თესვა. შაქრის ჭარხლის ამოღების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს სოფ. ზემო და ქვემო-ხვედურეთის, ჭანდრების და ახალი-სოფლის კოლმეურნეობებმა. რაიონის 4 კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა მექათმეობის ახალი ფერმები. ქართლში დიდი მომავალი აქვს მეფუტკრეობას. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე 15 ოქტომბრის დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით დამსწრენი აყენებენ პრაქტიკულ წინადადებებს, უკეთ როგორ გამოიყენონ ბუნებრივი პირობები მეფუტკრეობის განსავითარებლად. ამჟამად მხოლოდ 9 კოლმეურნეობას ჰყავს ფუტკრის 70 ოჯახი. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობამ, სოფელ ურბნისის, აბუხალოს და ზღუდერის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს 1941 წელს მოაწყონ მეფუტკრეობის ფერმები. ხუთი წლის შემდეგ ქარელის რაიონის 90 კოლმეურნეობას 3000 ოჯახი ფუტკარი ეყოლება.

ს. ყურაშვილი

საწარმოო აღმავლობა გორის საკონსერვო ქარხანაში

(გორი, ტელეფონით საქ. კორესპონდენტისაგან)

გორის საკონსერვო ქარხნის გაფართოების შესახებ სსრ კავშირის მთავრობისა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამო გორელი მეკონსერვეები დიდ სიხარულს განიცდიან. რამდენიმე დღის წინათ საკონსერვო ქარხნის სტახანოველმა მ. მეჩიტაშვილმა განაცხადა: საკონსერვო ქარხნის იმგვარად გაფართოება, რომ წელიწადში მზა პროდუქციის გამოშვება 15 მილიონ პირობით ქილამდე იქნას აყვანილი, დიდ მუშაობას მოითხოვს. აშენდება მზა ნაწარმის საწყობი, მუშათა საერთო საცხოვრებელი ბინები. ახლა მზად არის დიდი შენობა, სადაც დაიდგმება სამი ქვაბი, რომლებიც ქარხანას ორთქლს მიაწვდიან. ამ ღონისძიებას ჩვენ ახალი საწარმოო გამარჯვებებით ვუპასუხებთ.

მართლაც, ამ დღებში გორის საკონსერვო ქარხანაში დიდი საწარმოო აღმავლობაა. 25 ოქტომბერს ქარხანამ კონსერვების დამზადების ოქტომბრის გეგმა 191,7 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 624 ათასი პირობითი ქილა კონსერვი.

კონსერვების დამზადება გრძელდება.

ბუნების დიდი გარდამქმნელი

(ი. ვ. მიჩურინის დაბადების 85 წლისთავის გამო)

1855 წელს რიაზანის გუბერნიაში დაიბადა გენიალური რუსი მეცნიერი, ბუნების დიდი მკვლევარი ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინი. ბავშვობიდანვე იგემა მან გაჭირვებული ცხოვრება, ადრე მიატოვა სასწავლებელი, გადასახლდა კოზლოვში (ახლა მიჩურინსკი) და აქ დაიწყო მუშაობა რკინიგზაზე. მთელ თავის თავისუფალ დროს იგი ანდომებდა მებაღეობას. გაჭირვებით შეიძინა პატარა ნაკვეთი მიწა, ყიდულობდა სხვადასხვა თესლეულს, სთესდა და უვლიდა ამოცენებულ მცენარეებს.

მრავალი წლის განმავლობაში მიჩურინი მუშაობდა ვაშლის, მსხლის, ქლიავის და სხვა ხილის მაღალმოსავლიან და ყინვისგამძლე მცენარეთა მისაღებად. შეუპოვარი შრომით მიდიოდა იგი წინ, დასახული მიზნისაკენ, ახდენდა მთელ რიგ ცდებს, აჯვარებდა სხვადასხვა ხეხილს და ბოლოს შეიმუშავა თავისი ძირითადი მეთოდი ახალი სახის მცენარეთა მისაღებად. იგი აჯვარებდა ისეთ მცენარეებს, რომლებიც გეოგრაფიული ადგილმდებარეობით ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ. ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის ყინვებს მიჩვეული ხეხილი მან შეაჯვარა სამხრეთის სითბოსა და უხვ მზეს ნაჩვევი მცენარეებთან. ასეთი შეჯვარების შედეგად მიჩურინმა მიიღო ახალი ხილი — გემრიელი, არომატული, მსხვილი და ამავე დროს ყინვის გამძლე.

მიჩურინმა მიიღო ყურძნის, ატმის და სხვა სამხრეთული ხილის ისეთი ახალი სახე, რომელიც ადვილად უძლებს ყინვებს და თავისუფლად ხარობს გაცილებით უფრო ჩრდილოეთით. ხეხილის გავრცელების საზღვრებმა მნიშვნელოვნად გადაიწია ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ. ბოლოს, მიჩურინმა მიაღწია იმასაც, რომ იგი სცვლიდა მცენარის თვისებებსა და დამახასიათებელ ნიშნებს იმგვარად, როგორც ეს მისთვის იყო სასურველი. მან თავის ლოზუნგად გამოაცხადა: „ადამიანს შეუძლია შექმნას და მან უნდა შექმნას კიდევაც მცენარეთა ახალი ფორმები ბუნებაზე უკეთესად“.

თავისი მუშაობით მიჩურინმა განავითარა დარვინის მატერიალისტური მოძღვრება. მან კაცობრიობას მისცა მძლავრი იარაღი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მცენარეთა ახალი ფორმებისა და სახეების მიღება.

ი. ვ. მიჩურინის დიდი და შესანიშნავი საქმიანობა ჯერ კიდევ იმთავითვე ცნობილი იყო უცხოეთში. მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობა მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიიღო მიჩურინმა საშუალება ფართო ხასიათი მიეცა თავისი ცდებისათვის და დაენერგა ისინი სოფლის მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე ი. ვ. მიჩურინმა განაცხადა: „მე მინდა ვიმუშაო ახალი ხელისუფლებისათვის“. მიჩურინს იმთავითვე ყურადღება მიაქცია **ვ. ი. ლენინმა** და ღირსეულად დააფასა მისი შრომა.

პარტიამ და მთავრობამ შეუქმნეს მას ყოველგვარი პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის. დიდად აფასებდა მიჩურინს აგრეთვე ამხანაგი **სტალინი**, რომელიც 1934 წ. გულთბილად მიესალმა მიჩურინს მისი ნაყოფიერი მუშაობის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და უსურვა მას ახალი წარმატებანი მეხილეობის გარდაქმნაში.

ი. ვ. მიჩურინი გარდაიცვალა 1935 წ. 7 ივნისს.

ბუნების უდიდესმა გარდამქმნელმა ი. ვ. მიჩურინმა ხეხილის ობიექტებზე აჩვენა მცენარეთა განვითარების მანამდე სრულიად უცნობი კანონზომიერება. იგი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ახალგაზრდა მეცნიერთა არმიას, გაბედულად დაარღვია ფორმალური გენეტიკის (მეცნიერება მემკვიდრეობაზე) მოძველებული ტრადიციები და ნორმები და დაუღალავად მუშაობდა ახალი გენეტიკურ-სელექციური მეცნიერების შექმნაზე.

ი. ვ. მიჩურინის მუშაობის მეთოდებისა და მიღწევების გაშუქებას, მის მიერ დაწყებული საქმის განვითარების ჩვენებას მიკუთვნებული აქვს საპატიო ადგილი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ბუნების დიდი მკვლევარისა და გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის საქმეს აგრძელებენ ჩვენს ქვეყანაში მრავალი მისი მიმდევრები, აკადემიკოსებით დაწყებული კოლმეურნეებით დამთავრებული.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ღონისძიებანი

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა განაცხადა: ავიაგამანადგურებელთა იმ ორი ესკადრილიის შემადგენლობაში, რომლებიც ფილიპინებზე იგზავნება, შედის შვეციის მთავრობის მიერ თავის დროზე ამერიკის შეერთებულ შტატებში შესყიდული, ხოლო შემდეგ ამერიკის მთავრობის მიერ რეკვიზირებული თვითმფრინავების ჯგუფი. მინისტრმა აღნიშნა, რომ ფილიპინებზე ამერიკის ავიაციის გასაძლიერებლად ამჟამად სხვა თვითმფრინავები არ მოიპოვება.

ფილიპინებზე ამჟამად იმყოფება ამერიკის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი მაკ. არტური, რომელიც წვრთნის ფილიპინების არმიას. ამ ცოტა ხნის წინათ მაკ არტურმა განაცხადა, რომ [illegible] ფილიპინების არმია 125 ათასი კაცის შემადგენლობით არმია მომარაგებული იქნება ამერიკის იარაღით.

სტიმსონმა განაცხადა აგრეთვე, რომ თვითეულ შტატში საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი თავდაცვის რაზმები, რაც სიფრთხილის ღონისძიება იქნება საბოტაჟის წინააღმდეგ. სტიმსონმა აღნიშნა, რომ არმიას საკმაო რაოდენობით მოეპოვება წარსული მსოფლიო ომიდან დარჩენილი იარაღი იმისათვის, რომ შეაიარაღოს 125 ათასი კაცისაგან შემდგარი ადგილობრივი თავდაცვის რაზმები. ამ დღეებში რუზველტმა ხელი მოაწერა ახალ კანონს; ეს კანონი ითვალისწინებს შტატებში ადგილობრივი თავდაცვის რაზმების შექმნას, რომლებმაც უნდა შესცვალონ არმიაში გაწვეული ნაციონალური გვარდიის წევრები.

ამერიკის სამხედრო მეთვალყურენი ლონდონს გაემგზავრნენ

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამი წარმომადგენელი თვითმფრინავით გაემგზავრა ლონდონს. ამ წარმომადგენლებს, რომლებიც ლისაბონით მიემგზავრებიან „საიდუმლო მისია“ აქვთ დაკისრებული.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ეს პირები მეთვალყურეობას გაუწევენ საჰაერო ომის მიმდინარეობას ინგლისსა და გერმანიას შორის.

ერიოს დაპატიმრება

ბერლინი, 25 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იტყობინება, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ყოფილი თავმჯდომარე ერიო აღარ იმყოფება ლიონში. საფრანგეთის ხელისუფალნი საიდუმლოდ ინახავენ მისი პატიმრობის ადგილს.

კონფერენციის გახსნა დელიში

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს დელიში გაიხსნა ინგლისის დომინიონთა და კოლონიათა აღმოსავლეთის ჯგუფის კონფერენცია. კონფერენციას ესწრება ბრიტანეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილის 100-მდე წარმომადგენელი.

კონფერენციის გახსნისას ინდოეთის მეფის მოადგილემ ლინლითგოუმ წაიკითხა ჩერჩილის მისასალმებელი დეპეშა.

თურქეთის მოსახლეობის რაოდენობა

ანკარა, 25 ოქტომბერი (საქდესი). როგორც უკვე იუწყებოდნენ, 20 ოქტომბერს თურქეთში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს მოჰყავს ოფიციალური ცნობები ამ აღწერის შედეგების შესახებ. ამ ცნობების თანახმად, თურქეთის მოსახლეობა 17.869.901 კაცისაგან შესდგება. ამრიგად, 1935 წლის აღწერის ცნობებთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობა 1.711.883 კაცით გაიზარდა.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 26 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გუშინ გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ლონდონს და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში არსებულ მნიშვნელოვან ობიექტებს. ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროსთან, საჰაერო ბომბარდირებისა და საარტილერიო სროლის შედეგად, გაფანტულ იქნა გემების სამი ქარავანი. ერთი გემი ჩაძირულად უნდა ჩაითვალოს. რამდენიმე გემმა თავი შეაფარა დუვრის ნავსადგურს, სადაც მათ გერმანიის მძიმე ბატარეებმა კვლავ სროლა აუტეხეს.

ღამით გერმანიის ავიაციამ წარმატებით მიიტანა იერიში ლონდონსა, ლივერპულსა ბირმინჰამზე, ინგლისის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროს სანავსადგურო ნაგებობებზე და ცენტრალური ინგლისის აეროდრომებზე.

25 ოქტომბერს, ღამით, მტრის თვითმფრინავებმა გერმანიის სხვადასხვა პუნქტში ჩამოჰყარეს ყუმბარები, რომლებიც თითქმის ყველანი მინდორში დაეცნენ.

25 ოქტომბერს ჩამოგდებულ იქნა მტრის 17 ავიაგამანადგურებელი. გერმანიის 9 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 26 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს:

ოფიციალურად იუწყებიან, რომ 25 ოქტომბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია რამდენადმე უფრო მეტ აქტივობას იჩენდა, ვიდრე წინა ღამეებში. გერმანიის ავიაციის იერიშები უმთავრესად მიმართული იყო ლონდონისა, ცენტრალური ინგლისის ერთერთი ქალაქისა და შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთერთი რაიონის მთელი რიგი პუნქტების წინააღმდეგ. ლონდონში დაზიანებულია თითქმის მარტო საცხოვრებელი სახლები და ზოგიერთი გზა. მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა უმნიშვნელოა.

შოტლანდიის რამდენიმე პატარა სანაპირო ქალაქზე თავდასხმების შედეგად დაზიანებულია მრავალი სახლი. საზენიტო ბატარეების ინტენსიურმა ცეცხლმა გერმანიის თვითმფრინავები იძულებული გახადა მნიშვნელოვან სიმაღლეზე ასულიყვნენ.

გუშინდელი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანიის 14 და ინგლისის 10 თვითმფრინავი.

შებინდებამდე ცოტა ხნით ადრე მოწინააღმდეგის საკმაოდ მრავალრიცხოვანმა თვითმფრინავებმა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან იერიში მოიტანეს ინგლისის გემების ქარავანზე და იქ დადგმულ ჰაერგადამღობ აეროსტატებზე. გერმანიის თვითმფრინავებს ხომალდებზე დადგმული საზენიტო ქვემეხების ინტენსიური ცეცხლით შეხვდნენ. მალე ჰაერში გამოჩნდნენ ინგლისის ავიაგამანადგურებლები და იერიში მიიტანეს გერმანიის თვითმფრინავებზე, რომლებმაც დაახლოებით 30 ყუმბარის ჩამოგდება მოახერხეს. ყველა ყუმბარა გემების მახლობლად დაეცა.

იუწყებიან, რომ ინგლისის ავიაცია 24 ოქტომბერს, ღამით, ბერლინის ბომბარდირებასთან ერთად, თავს დაესხა გერმანიის სხვადასხვა კუთხეში არსებულ მრავალრიცხოვან ობიექტებს. ამ ობიექტებს შორის იყო ჰამბურგის სამხედრო-საზღვაო გემსაშენები, ჰანოვერისა და ჰელზენკირხენის ნავთსაწმენდი ქარხნები, რურის ოლქის სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე გერმანიის აეროდრომები და რკინიგზის ცენტრები. ინგლისის ავიაცია განსაკუთრებით ინტენსიურად დაესხა თავს როტერდამსა და ფლისინგენს.

ამავე ღამეს ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს დამხარისხებელ სადგურებს ოსნაბრიუკსა, გამსა და გელტერში, ვეზელის მახლობლად. გარდა ამისა, მათ ფუგასური ყუმბარები დააყარეს რკინიგზის კვანძებს ბრემენის, მიუნსტერისა და ემერიხის მახლობლად. სხვა ობიექტებს შორის, რომლებსაც ყუმბარები დავუშინეთ იყო კუქსჰაფენისა და ვილჰელმსჰაფენის სამხედრო-საზღვაო ბაზები, დუისბურგის სავაჭრო დოკები, ჰამბურგის ელექტროსადგურები და ბოტრიპის მთელი რიგი ბრძმედები. ყუმბარები დავაყარეთ აგრეთვე გერმანიასა, ჰოლანდიასა და ბელგიაში არსებულ მთელ რიგ აეროდრომებს. ორჯერ მივიტანეთ იერიში როტერდამის დოკებზე. ყუმბარები დავუშინეთ ოსტენდეს, დიუნკერკისა და ფლისინგენის დოკებს და ამ ნავსადგურებში მდგომ გემებს.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ, დღისით, ინგლისის შორსმსროლელმა არტილერიამ, რაც კენტის საგრაფოს სანაპიროზე არის დადგმული, სროლა აუტეხა გერმანიის გემების ქარავანს, რომელიც სამხედრო ხომალდებისა და ორი ჰიდროთვითმფრინავის თანხლებით ბულონსა და კალეს შორის მიდიოდა. სროლა ნახევარ საათს გრძელდებოდა. გერმანიის თვითმფრინავების მიერ გამოშვებულმა კვამლის ფარდამ ინგლისელ მეთვალყურეებს შესაძლებლობა არ მისცა სროლის შედეგები გამოერკვიათ. დაბინდებისას ინგლისის შორსმსროლელმა ქვემეხებმა კვლავ სროლა გაიჩაღეს.

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ დღეს გერმანიის მხოლოდ რამდენიმე თვითმფრინავმა შესძლო ლონდონში შემოჭრა. რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი შენობა. მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა მცირეა.

როგორც კომუნიკეში აღნიშნულია, 24 ოქტომბრის ღამე, ყველაზე უფრო წყნარი ღამე იყო, მას შემდეგ, რაც გერმანიის ავიაციამ ღამით ლონდონზე მასობრივი თავდასხმები დაიწყო. 25 ოქტომბერს გერმანიის თვითმფრინავებმა ახლანდელი კვირის განმავლობაში პირველად დაიწყეს თავისი ოპერაციები მთელ შენაერთებად, და არა ერთეულებად, როგორც წინათ იყო ხოლმე. ინგლისის სხვადასხვა რაიონში გაჩაღებული ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 12 თვითმფრინავი.

ინგლისის ავიაციამ 8 ავიაგამანადგურებელი დაჰკარგა.

ომი აფრიკაში

რომი, 26 ოქტომბერი (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას:

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მერსა-მატრუხის, ფუკისა და ედ-დაბის სარკინიგზო ნაგებობებს, რამაც ბევრ ადგილას ხანძარი და მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. მტრის სამხედრო ხომალდებმა ღამით ყუმბარა დაუშინეს ჩვენს პოზიციებს მაკტილის რაიონში (სიდი-ბარანის აღმოსავლეთით), მაგრამ ამას ზარალი არ მოჰყოლია. მტრის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ტობრუკს და უმნიშვნელო მატერიალური ზარალი მიაყენა. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. ჩვენმა ავიაციამ ჩამოაგდო მტრის ერთი თვითმფრინავი.

აღმოსავლეთ აფრიკაში ერთერთმა ჩვენმა საჰაერო შენაერთმა ყუმბარა დაუშინა მოწინააღმდეგის აეროდრომს მალინდში (კენიის სანაპიროზე). მტრის ავიაციამ იერიში მოიტანა გორასა, ასაბსა და დეკამერზე.

ლონდონი, 26 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის საჰაერო ძალების სარდლობის შემდეგს კომუნიკეს:

24 ოქტომბერს ჩვენმა ავიაციამ იტალიის ბაზების წინააღმდეგ ერიტრეასა და ლიბიაში მთელი რიგი წარმატებითი ოპერაციები ჩაატარა. ინგლისის თვითმფრინავებმა ამ კვირის განმავლობაში მესამეჯერ დაუშინეს ყუმბარა მოწინააღმდეგის ჯარის დაჯგუფებას კასალის მახლობლად. კვლავ დავუშინეთ ყუმბარა გურასა და ასმარას. ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე მტრის ბანაკსა და საწყობებს აზოზოში და შენიღბულ თვითმფრინავებს, რომლებიც იდგნენ ალომატში, ძირდასაშვებ მოედანზე. ხელახლა და ენერგიულად დავუშინეთ ყუმბარა ბენგაზის ნავსადგურს, სადაც ყუმბარები დავაყარეთ გემსაშენებსა და ნავსაყუდელში მდგომ გემებს.

პეტენი ვიშში დაბრუნდა

ლიონი, 26 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, მარშალი პეტენი, ჰიტლერთან შეხვედრის შემდეგ, გუშინ საღამოს, ვიშში დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების გამო

იაკობ გოგებაშვილი

ანბანი
დედა ენა
ბუნების კარი
დედა ენა
РУССКОЕ СЛОВО
ДЛЯ ГРУЗИНСКИХЪ ШКОЛЪ
დედა ენა
ქართული ანბანი
იავნანამ რა ჰქმნა

დიდი პედაგოგი

მეტად დიდია გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის დამსახურება ქართული პედაგოგიური ლიტერატურის ისტორიაში. მან თავისი დაკვირვებული და კარგად შედგენილი სახელმძღვანელოებით „დედა ენითა" და „ბუნების კარით" საშუალება მისცა სკოლას ეწარმოებინა მეცადინეობა მოზარდ თაობასთან უხვი და საინტერესო მასალით, რომელიც შეესაბამება ბავშვის ასაკის დონესა და ბავშვის ფსიქიკას.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე მისი პედაგოგიურ-მეთოდური ხასიათის სტატიები, რომლებიც ქართულ ჟურნალ „მოამბესა" და რუსულ ჟურნალ „ვესტნიკ ვოსპიტანიაში" იყო მოთავსებული. ამ სტატიებში სჩანს, რომ მათი ავტორი საქმის ღრმა მცოდნე და დიდი ოსტატი იყო.

ი. ჯავახიშვილი
ორდენოსანი აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სამშობლო ქვეყნის დიდი მოამაგე

გაზეთი „დროება", ქართული თეატრი და „დედა ენა". აი რას ეყრდნობოდა ქართული კულტურული საქმიანობა გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

უდიდესი ბურჯი კი „დედა ენა" იყო, „დედა ენა" იაკობ გოგებაშვილისა, ამ ბუმბერაზი პედაგოგის, უებრო პუბლიცისტისა და ჩინებული მწერლისა.

დიდი აკაკი ამბობს „ თორნიკე ერისთავში":

„ვისაც ხედავ აქ სულყველა
არის შენი გამოზრდილიო".

ასე ითქმოდა იაკობ გოგებაშვილზე აგერ აქამდე, მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე.

ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველი მის „დედა ენაზე" იყო აღზრდილი.

მე კი ერთხელ ძალიან მატირა ამ ჩიტებით მოხატულმა წიგნმა.

ის იყო უკვე კითხვა დავიწყე და ამ წიგნში მოთავსებულ პატარ-პატარა მოთხრობებსა და ლექსებს ვეცნობოდი, რომ თამაშობის დროს ბურთი მარმარილოს მაგიდის ქვეშ შემივარდა, გამოღება მოვუნდომე, ბურთი ვერ გამოვიღე და მაგიდა კი წაიქცა, მარმარილო დაიმტვრა და მეც სასწაულებრივ გადავრჩი თავის გაჭეჭყას.

მამამ მიმიხმო თავის ოთახში, არავითარი საყვედური არ მითხრა, მომატანინა ჩემი „დედა ენა," ჩაჰკეტა იგი მაგიდის უჯრაში და დააყოლა.

„ამის ღირსი შენ არა ხარო".

კარგად წარმოიდგენთ, რამდენი ჩემი ცრემლი გაჰყვა ცუნცულა მელიებსა და მგალობელ ჩიტუნებს.

და უთუოდ მაშინ დავდე ჰანიბალის ფიცი, რომ თავის დამლუპველ დიდ ანცობას აღარ ჩავიდენდი და „დედა ენას" მომავალში ვუერთგულებდი.

ამის შემდეგ მამამ წამიყვანა და ქუთაისის ძმ. კილაძეების მაღაზიაში გოგებაშვილის ახალთ-ახალი ვარდისფერყდიანი „დედა ენა" მიყიდა და თან საწერი რვეულიცა და აშოლტილი ფანქარიც ხელში დამაკავებინა.

„დედა ენას" მოჰყვა „ბუნების კარი", „აკიდო", „კუნწულა" და მრავალი სხვა.

„კუნწულამ" კი ჩვენი დიდი პოეტები გამაცნო — ორბელიანები, ილია, აკაკი, შემაყვარა მათი თავი.

ბოლოს თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ვნახე ერთი კარგა ხასკვნილი წითელწვერა კაცი, მამას გამოელაპარაკა და დიდ ხანს სეირნობაში ისაუბრეს. ყურები ბამბით ჰქონდა დაცული, პალტოიანს, ზურგზე „პლედი" ჯვარედინად ეხურა.

და აი ეს დაავადებული კაცი თითქმის ნახევარი საუკუნე, მისი სიტყვისა არ იყოს, თავის „ნალმოსნებს" ჰგზავნიდა შორეულს მთებში, მიყრუებულ სოფლებში, დაბად და ქალაქად, რომ აეფეთქებინა წყვდიადი უმეცრებისა და მოეფინა შუქი განათლებისა და სამშობლოს სიყვარულისა.

„დედა ენაზე" აღზრდილნი კი კითხულობდნენ გაზეთ „დროებას" და მსჯელობდნენ ქვეყნის ამბებით, თავიანთი ხალხის ჭირვარამისა და სხვადასხვა ამბების გაცნობით.

გოგებაშვილისაგან დაპურებულნი მოდიოდნენ ქართულ თეატრში და ეჩვეოდნენ სოლომონ ლეონიძის ქვეყნისათვის თავდადების მაგალითს.

ამ ბუმბერაზმა თავის დროზე აღზარდა საქართველოს საუკეთესო ნაწილი და გააკეთა უდიდესი საქმე, მიუხედავად მაშინ არსებული პოლიტიკური და ეკონომიური ხელისშემშლელი პირობებისა.

დღეს, დიდი სტალინის მზით გაშუქებული ჩვენი ქვეყანა, და, მათ შორის, ამ დღეებში უაღრესად დაჯილდოებული გოგებაშვილის მშობელი კუთხე — ქართლი — თავმომწონედ და მადლობით იგონებს ამ დიდი მოამაგის ნათელ ხსოვნას.

შალვა დადიანი
ორდენოსანი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია, რომელიც დაწერილია დავით კასრაძის მიერ. წიგნს დართული აქვს ი. გოგებაშვილის პორტრეტი.

წიგნის რედაქტორია ამხ. ვ. ეგნატაშვილი. (საქინფორმი).

„რუსკოე სლოვო" და გოგებაშვილის განსაცდელი

(არქივის მასალებიდან)

ჯერ კიდევ 1903 წელს იაკობ გოგებაშვილი ერთერთ ადგილობრივ გაზეთში სწერდა: „სახალხო განათლების დარგში თითქმის 40 წლის სამსახურმა ჩვენ სრული შესაძლებლობა მოგვცა ნათელი და გარკვეული შეხედულება ვიქონიოთ ამ საგანზე"... მაგრამ საგნის ეს საუცხოო ცოდნა მას როდი აძლევდა საშუალებას თავისი იდეები ადვილად გაეტარებინა ადგილობრივ სკოლაში. მას ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდა ადგილობრივი „სასწავლო ოლქის" მესვეურებთან, სანამ მის სახელმძღვანელოებში გამოთქმული ჭეშმარიტება ხალხამდე მიაღწევდა.

თუ როგორ ებრძოდა მეფის ხელისუფლება გოგებაშვილს და რა ხერხებს მიმართავდა ამ საზოგადო მოღვაწის წინააღმდეგ, ამას ნათლად გვისურათებს არქივში დაცული „საქმეები". განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვოს" ბედი.

1888 წელს გამოვიდა გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო", რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა როგორც სასწავლო სახელმძღვანელო.

1891 წელს გოგებაშვილის ამ რუსულ სახელმძღვანელოსთან ერთად იმერეთის სასოფლო სკოლებში ძლიერ გავრცელდა „რუსული ენის კურსი" ქართული დაწყებითი სკოლებისათვის და მასთან დართული ბროშურა „მეთოდური მითითებანი". ამ „კურსის" ავტორი იყო „ცნობილი" ლევიცკი, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორი. სარგებლობდა რა თავისი თანამდებობით, იგი მასწავლებლებს ვალდებულად ხდიდა ეყიდნათ მისი სახელმძღვანელო, მაგრამ თუ ვინმე მოისურვებდა გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი სარგებლობას, მაშინ ლევიცკი ამის ნებართვას იძლეოდა იმ პირობით, რომ ამ სახელმძღვანელოს მასალა გადაემუშავებინათ მისი მითითების საფუძველზე.

რას წარმოადგენდა ლევიცკის სახელმძღვანელო? ამის შესახებ მიუკერძოებლად სწერს ქალთა სკოლის ინსპექტორი ნ. კრუპენიკოვი, რომელსაც სარეცენზიოდ გადაეცა ლევიცკის სახელმძღვანელო: „64 ნომრიდან,—სწერს იგი,—ბევრი ერთიმეორეს ჰგავს თავისი ხასიათით..." „ვინაიდან კარგად არ ვიცი ქართული ენა, მე ვთხოვე ქართული და რუსული ენების კარგ მცოდნეს ბატონ მთვარელოვს შეემოწმებინა ხელნაწერში რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი სიტყვების სისწორე. ბატონ მთვარელოვის აზრით ხელნაწერში 200-დე სიტყვა არასწორად არის თარგმნილი".

როგორც სჩანს, ლევიცკის თავხედობას ისე აუღელვებია გოგებაშვილი, რომ მას გადაუწყვეტია ასეთი წერილით მიემართნა კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველის კ. იანოვსკისადმი:

„თქვენო აღმატებულებავ
მოწყალეო ხელმწიფევ!

მე იძულებული ვარ შევაწუხო თქვენი აღმატებულება ამ უმორჩილესი თხოვნით, რაც გამოწვეულია ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის — ლევიცკის უკიდურესი თავხედობით. იგი სისტემატურად ეწინააღმდეგებოდა და ახლაც წინააღმდეგობას უწევს მასზე დაქვემდებარებულ სკოლებში ჩემ მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს „რუსკოე სლოვოს" ხმარებას, რადგან მიზნად აქვს რაც შეიძლება ბლომად და ჩქარა გაავრცელოს მის მიერ შედგენილი წიგნი „რუსული ენის კურსი ქართული სკოლებისათვის". ამ მიზნის ადვილად მიღწევისათვის, მასწავლებლებისადმი სიტყვიერი ბრძანების გარდა, იგი მიმართავს ცირკულარულ განკარგულებებს.

ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომის დასაწყისს მან ქუთაისის გუბერნიის ყველა მასწავლებელს გაუგზავნა ცირკულარი, რომლითაც აუწყებდა, რომ ახლო მომავალში გამოვა მთავრობის მიერ მოწონებული მისი სახელმძღვანელო. შემდეგ, როცა გამოვიდა მისი სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, რომელიც უნდა გაევლოთ სწავლის პირველ წელს, მან მიმდინარე წლის იანვარში მასწავლებლებს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულარული მიწერილობა: „გაცნობებთ, რომ საქალაქო სასწავლებლის საწყობში მიღებულია რუსული ენის ჩემი სახელმძღვანელო და გთხოვთ წაიღოთ ეგზემპლარების საჭირო რაოდენობა თქვენდამი რწმუნებული სკოლების I განყოფილების მოსწავლეთათვის, რომლებიც ახლა უნდა შეუდგნენ რუსული ენის წერითი შესწავლას. თუ მე-2 განყოფილების მოსწავლეებს გავლილი აქვთ კალანდარაშვილის დაწყებითი კურსი ან „როდნოე სლოვოს" კურსი, მაშინ ისინი შესძლებენ ჩემი კურსის მიხედვით რუსული ენის სწავლას".

აქედან თქვენი აღმატებულება დაინახავს, რომ ლევიცკი, ოლქის მზრუნველის საბჭოს მიერ მხოლოდ სახელმძღვანელოს სახით მოწონებული მისი წიგნის საჩქაროდ გაყიდვის მიზნით, ავალდებულებს მასწავლებლებს გამოიყენონ იგი სხვა სახელმძღვანელოების უწინ და მათთან ერთად და უშინსკის „როდნოე სლოვოს" დამთავრების შემდეგ დაუბრუნდნენ წიგნს, რომელიც შეიცავს რუსული ენის მოსამზადებელ კურსს და რომელიც უნდა გაევლოთ „როდნოე სლოვო"-ზე უწინ, რაც სრულიად შეუსაბამოა.

ჩემ მიერ მიღებული ცნობის თანახმად ლევიცკის მოქმედებამ მასწავლებლები მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. როგორც სახელმძღვანელო, მათ სრულიად უვარგისად მიაჩნიათ მათი დირექტორის წიგნი, ხოლო წინააღმდეგობას ვერ ბედავენ და იძულებული არიან უფროსის გულის მოსაგებად შეიძინონ მისი წიგნი დიდი რაოდენობით. ნებას ვაძლევ ჩემს თავს დავსძინო: გარდა იმისა, რომ არ არის მიზანშეწონილი ენის სწავლება მხოლოდ თარგმნის მეთოდით, ლევიცკის წიგნი სავსეა მრავალი შეუსაბამობით, არასწორი გამოთქმებით და რუსულ ენაში მნიშვნელოვანი შეცდომებით, რომლებიც შეუძლებელია იქ ყოფილიყო სასწავლო ოლქის რეცენზენტების მიერ ხელნაწერში მისი განხილვის დროს. თუ თქვენი აღმატებულება კეთილინებებს, მე დაუყოვნებლივ წარმოვადგენ აღნიშნულ შეუსაბამობათა და არასწორ გამოთქმათა სიას.

მოკრძალებით ვაცნობებ რა ამას თქვენს აღმატებულებას, პატივი მაქვს უმორჩილესად გთხოვოთ, რათა წინადადება მისცეთ ლევიცკის, რომ მან მასზე დაქვემდებარებულ სკოლებში რუსული ენის სასწავლო სახელმძღვანელოდ იხმაროს ჩემ მიერ შედგენილი წიგნი „რუსკოე სლოვო", თანახმად სამზრუნველო საბჭოს დადგენილებისა, რომელმაც იგი მოიწონა როგორც სახელმძღვანელო.

თქვენი აღმატებულების, უმოწყალესი ხელმწიფის უმორჩილესი მსახური
იაკობ გოგებაშვილი.
1891 წ. 15 აპრილი".

„საქმის" შემდგომი მსვლელობიდან სჩანს, რომ გოგებაშვილის საჩივრის გამო დირექტორ ლევიცკის მოსთხოვეს ახსნა-განმარტება. ვრცელ პასუხში ლევიცკი ცდილობს თავიდან აიშოროს წარდგენილი „ბრალდებები". მას მოჰყავს იმ სკოლების სია, სადაც (მიუხედავად მისი განკარგულებისა) მაინც განაგრძობენ გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი კურსის გავლას. ლევიცკი თავის წერილს ამთავრებს რწმუნებით, რომ თავისი „კურსის" გამოცემისას მას „მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ სწავლის საქმისათვის სარგებლობის მოტანა".

ლევიცკის სახელმძღვანელო თუ სადმე შენახულა, ისიც რომელიმე ბიბლიოთეკის მივიწყებულ კუთხეში. გოგებაშვილის სახელმძღვანელო კი, ჩვენი პირობების შესაბამისად გადაკეთებულის სახით, კიდევ დიდხანს იცოცხლებს.

ამ ორი სახელმძღვანელოს ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რამდენი განსაცდელი გაუვლია გოგებაშვილს ახალი თაობის განათლებისათვის ბრძოლაში.

ი. ც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა
ფოტო რეპროდუქცია რ. აკოფოვისა

ი. გოგებაშვილის მოთხრობები

საქართველოს საბავშვო გამომცემლობამ ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის დაბეჭდა და გამოუშვა მის რჩეულ მოთხრობათა კრებული. წიგნში მოთავსებულია პროფ. გ. თავზიშვილის სტატია „ი. ს. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება". წიგნის გაფორმება ეკუთვნის ამხ. ზ. გორდეზიანს.

კრებულში შეტანილია ი. გოგებაშვილის 80 მოთხრობა, რომლებიც იბეჭდებოდა „დედა-ენასა" და „ბუნების კარში", აგრეთვე სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში. გარდა ამისა, მოთავსებულია 10 მოთხრობა, რომლებიც ცალკე ბროშურებად გამოდიოდა, მათ შორის „იავნანამ რა ჰქმნა", „ასპინძის ომი", „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი", „სხივი წარსულისა" და სხვ.



დილა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაეღვიძნა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა-ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა.

„აყვავდი, ტურფავ ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო".

„ივერიისა" და „დედა ენის" ფურცლები, სადაც დაბეჭდილია ახალგაზრდა ი. ჯუღაშვილის ლექსი „დილა" (1895 წ.).

◆

„დედა ენა"

ტკბილად მახსოვს ის ნათელი შემოდგომა,
ის ამინდი, ხის ფოთლების მოლზე ფანტვა,
როცა ბაბუს კეთილ ოჯახს, შრომის ქომაგს,
ვარდისფერი „დედა-ენა" შეემატა.
რა ხალისი იყო იმ დღეს, რა ღიმილი,
ეზოს ყველამ სიამაყით გადახედა.
მე ეს წიგნი, როგორც ჯილდო, მწიფე ხილი,
ჭრელი ჩანთით მომიტანა სახლში დედამ.
მომცა ხელში და თვალები გამიბრწყინდა,
გადავფურცლე, სახლსაც შუქი მოეფინა.
მანამ ასე სხივიანი, ასე წმინდა
აღტაცება არ ჰქონია ბაბუს ბინას.
ვნეტარებდი, როგორც ვარდი ვარდს ჩაკრული,
როცა დილით იადონის ფრთები არწევს...
არ მინახავს, არ ვიცნობდი, მაგრამ გულით
ვუმადლოდი ამ პატარა წიგნის დამწერს.
მქონდა იგი ხალისად და თვალისჩინად,
მის მადლიან სტრიქონებში ფიქრი ჰქროდა.
ჩავცქეროდი, მკერდში ბინა გაიჩინა,
ვკითხულობდი, ხმიანობდა ჩვენი ოდაც.
სამშობლოზე მიგალობა, მზე მაჩვენა,
გულს სიმართლის ნაპერწკლები დააყარა.
წყაროსავით მოჩუხჩუხე ჩვენი ენა
დედის ტკბილი ღიმილივით შემაყვარა.
თვალზე ვის არ მოაშორა მწუხრის ბინდი,
თვით პატარას ხმა და შუქი ჰქონდა ვრცელი.
ო, მეც იმის ჯეჯილიდან წამოვფრინდი
და ქვეყანას ფრთაგაშლილი გადავცქერი.

გიორგი კაჭახიძე

ფასდაუდებელია ი. გოგებაშვილის ღვაწლი

ვისაც XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში ქართულ სკოლაში უსწავლია, ღრმად აქვს ჩაბეჭდილი ხსოვნაში იაკობ გოგებაშვილის სახელი. ამ სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული: თვალის პირველი გახელა, პირველი შეგრძნობა გარემოსი და ადამიანისა, ბუნებისა და მოვლენების პირველი დანახვა. გოგებაშვილის „დედა ენა", „ბუნების კარი" მარტო დედა ენას კი არ გვასწავლიდა, არამედ მათ მივყავდით ბუნებაში, ადამიანებში ისე, როგორც მამა წაიყვანს შვილს ბაღჩაში, ან დიდ ქალაქში, ის, რაც ბავშვის სუფთა გონებაში აღიბეჭდა, ძნელად წასაშლელია. იაკობ გოგებაშვილი ამ სუფთა დაუწერელ წიგნებში სწერდა უსპეტაკესი გრძნობების, მაღალი ადამიანობის, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სტრიქონებს.

ი. გოგებაშვილი მთელ თაობებს ბავშვობისა და ყრმობის საზღვარზე ედგა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობას უსაგზლებდა კაცობისაკენ მიმავალთ. „და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო", განუყრელად თან სდევდა ქართველ ბავშვებს ხალხთა გენიის ეს სტრიქონები, როგორც პირადი ღავალება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან".

მხოლოდ საბჭოთა პატრიოტიზმის ეპოქაში ფასდება გოგებაშვილის უდიდესი ღვაწლი. ქართველი საბჭოთა მწერლები ღირსეულად აღნიშნავენ შესანიშნავ თარიღს — ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

ირაკლი აბაშიძე
ორდენოსანი პოეტი.

გ. კიკნაძე
საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

დიდი ადამიანების მოღვაწეობა, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე, შემოქმედებითი ენერგია ხალხთა უანგარო სამსახურს მიუძღვნეს და შემდეგ თაობას უძვირფასესი კულტურული განძი მემკვიდრეობად დაუტოვეს, მოგონების და დაფასების ღირსია.

ასეთ მოწინავე ადამიანთა პლეადას ეკუთვნის საქართველოს გამოჩენილი კლასიკოსი — პედაგოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მესვეური, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი, რომლის დაბადების 100 წლისთავს ზეიმით ხვდება ქართველი ხალხი.

იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილს ქართველი ხალხი უმთავრესად იცნობს და აფასებს, როგორც სახალხო განათლების, სწავლისა და აღზრდის დარგის თავდადებულ და ნიჭიერ მუშაკს.

თავის ავტობიოგრაფიულ წერილში გოგებაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „ამ სტრიქონების დამწერი ხალხის შვილია, შუა ქართლში დაბადებული და დაბადებიდან ხალხის კალთაში გამოზრდილიო".

გოგებაშვილი თბილისის სემინარიის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ კიევის სასულიერო აკადემიაში შევიდა. ეს ის დრო იყო, როცა ერთის მხრივ დასავლეთი ევროპის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ქარიშხლით და, მეორეს მხრივ, თვით რუსეთის შიგნით მზარდ საწარმოო ძალთა და ფეოდალური საზოგადოებრივ ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობათა უაღრესი გამძაფრებით — მოწინავე ინტელიგენციის გონება გამოფხიზლებული იყო.

საზოგადოებრივი ცხოვრების ეს დუღილი, რასაკვირველია, კიევის აკადემიის კედლებშიც შეიჭრა, სადაც იზრდებოდა ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილი კიევის აკადემიაშივე გაეცნო მოწინავე იდეებს. იგი ხარბად დაეწაფა ჯონ ლოკის, მილის, რობერტ ოუენის, სენ-სიმონის, ფურიეს, დარვინის და სხვ. მოძღვრებას.

მეორეს მხრივ იაკობ გოგებაშვილმა დიდი გავლენა განიცადა მაშინდელი მოწინავე პედაგოგების: ოსტროვსკის, ვოდოვოზოვის, ტოლსტოის, პიროგოვის, კორფის და, განსაკუთრებით, დიდი რუსი პედაგოგის — უშინსკისა.

იმ დროს კაციჭამია პოლიტიკოსები, ანაფორაში გახვეული ჟანდარმები, მეფის შავრაზმელი აგენტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად და ეკონომიურად დაეკნინებინათ, ფეხქვეშ გაეთელნათ მისი კულტურა, წაერთმიათ მშობლიური ენა და ქართველობა გარუსების გზაზე დაეყენებინათ.

იაკობ გოგებაშვილმა სასულიერო სემინარიაში გამეფებული რეჟიმის წყალობით თავის საკუთარ თავზე განიცადა ეს დამცირება, სწავლა - აღზრდის იეზუიტური მეთოდების მთელი სისასტიკე. იგი აკადემიიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა მოღვაწეობას სახალხო განათლების დარგში ახალი იდეების განსახორციელებლად.

გოგებაშვილი მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობის მოკლე დროში რუსეთის „ოხრანკის" მიერ ცნობილ იქნა პოლიტიკურად არასაიმედო პირად და აეკრძალა მას რაიმე თანამდებობის დაკავება. მეფის „ოხრანკის" აგენტებისაგან დევნამ და ქვეყნად გავრცელებულმა უსამართლობამ გოგებაშვილი თვითმკვლელობის განზრახვამდეც მიიყვანა, რომ ამ მომენტში შემთხვევით იგი მის მეგობრებს არ გადაერჩინათ.

იაკობ გოგებაშვილი ფრიად განათლებული კაცი იყო, მის დიდ ნიჭსა და მომზადებას, ფართო ცოდნას და ღრმა ერუდიციას მისი მტრებიც ვერ ფარავდნენ. გოგებაშვილის ნიჭით და ცოდნით მოჯადოებული სემინარიის რექტორი მის გაკვეთილზე დასწრების შემდეგ იძულებული იყო ეგზარხოსისათვის ეთქვა: „დიდი ნიჭის პატრონია, რომ მატერიალისტი არ იყოს, ღირსია თანამდებობისაო".

მუდამ ხელმძღვანელობდა რა უშინსკის პედაგოგიური მოძღვრებით, გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობას, სასტიკად ებრძოდა ქართული ენის განდევნის ყოველგვარ ცდებს.

სახალხო სკოლებში ქართული ენის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის საჭირო იყო პედაგოგიურად და მეთოდურად გამართული სახელმძღვანელოს შედგენა. ამიტომ გოგებაშვილი თავისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებისთანავე შეუდგა სახელმძღვანელოების შედგენას. 1865 წელს შეადგინა თავისი ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა-ენა" (ეს სახელწოდება მას მიეცა 1876 წლიდან), რომელიც საოცარი პედაგოგიური გულმოდგინების, ენის ღრმა ცოდნისა და საქმისადმი სიყვარულის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ეს არის წიგნი, რომელსაც მუდამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს ქართველი ხალხი.

ასევე დიდი პედაგოგიური ოსტატობით და ცოდნით არის შედგენილი მეორე სახელმძღვანელო „ბუნების კარი".

იაკობ გოგებაშვილს თავისი ხალხისათვის თავდადება ხელს არ უშლიდა ყოფილიყო სხვა მსგავსადვე დაჩაგრულ ხალხთა ინტერესების გულისხმიერი დამცველი.

მისი პატრიოტიზმი კეთილშობილური და გულწრფელი იყო. მას მშვენივრად ესმოდა დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის კავშირის მნიშვნელობა.

ამიტომ, გარდა სამშობლო ენის შესწავლისა, იგი მოითხოვდა ჩვენი ახალგაზრდობის მიერ რუსული ენის შესწავლას: „პირველი იმიტომ, რომ ის არის სახელმწიფო ენა, მეორე კი — დიდი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპიულ განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთი მსოფლიო ენისა; მესამე — იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენის შესწავლა მიუცილებლად უნდა მოსდევდეს ქართულ ენას, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველები უნდა ვცდილობდეთ შევითვისოთ მისი ენა და მისი ლიტერატურა" (იხ. ტომი მე-2 გვ. 348-379, 1940 წ. გამოცემა).

აქედან გამომდინარე გოგებაშვილმა შეადგინა რუსული ენის ბრწყინვალე სახელმძღვანელო ქართველ ბავშვებისათვის „რუსკოე სლოვო"-ს სახელწოდებით. ეს სახელმძღვანელო ისევე პოპულარული და საყვარელი იყო ქართველი ახალგაზრდობისათვის, როგორც „დედა ენა" და „ბუნების კარი".

იაკობ გოგებაშვილი დიდი აღტაცებით შეეგება საქართველოში ბატონ-ყმობის გაუქმებას, მაგრამ იმედი მალე გაუცრუვდა, როცა ნახა, რომ გლეხები არსებითად ისევ მონებად დარჩნენ.

ამ გარემოებას, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა სამოციანი წლების რადიკალ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი გოგებაშვილი. იგი გლეხთა ხსნის ერთერთ გზად მათი სიბნელისაგან, უმეცრებისაგან განთავისუფლებას სახავდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ჩასახვისა და დაარსების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილი არა მარტო პრაქტიკოსი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო, იგი აგრეთვე კარგად იყო დაუფლებული მაშინდელი მოწინავე პედაგოგების იდეებს.

მას არ მოსწონდა იმ დროის სწავლა-აღზრდის სისტემა, არაფრად მიაჩნდა გიმნაზიები, რომლებიც უფრო უსაქმობას და არისტოკრატიულ ფუქსავატობას ნერგავდნენ ახალგაზრდობაში.

იგი თავგამოდებით იცავდა რეალური განათლების სისტემის დანერგვას: „ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისაო" — ამბობდა იგი. მას სრულიად სამართლიანად მიაჩნდა განათლების ეს სისტემა „ჭეშმარიტის ცოდნის" მომცემად.

გოგებაშვილი, როგორც ჭეშმარიტი პედაგოგი, მარტო მეცნიერების საფუძვლების დაუფლებით არ საზღვრავდა სკოლების ამოცანებს. იგი მოითხოვდა, რომ სკოლაში გამოემუშავებინათ ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარი.

იაკობ გოგებაშვილი სპეციალური განათლების თავგამოდებული მომხრეც იყო. ახალი თაობის სპეციალურ მომზადებას იგი ჩვენი მეცნიერების აღორძინების, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისა და მიწა-წყლის დაცვისა და შენარჩუნების აუცილებელ პირობად სთვლიდა. იგი ზოგად განათლებას სპეციალური განათლების პირობად და საფუძვლად აღიარებდა.

ი. გოგებაშვილის კალამს მრავალი მხატვრული საბავშვო ნაწარმოები ეკუთვნის: „იავნანამ რა ჰქმნა", „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი", „ასპინძის ომი", „თავდადებულნი ქართველნი" და სხვა. მან მრავალი მშვენიერი საბავშვო მოთხრობა და ლექსი დასწერა. სწერდა ბავშვებისათვის მისაწვდომად, ლამაზად, მარტივად და მაღალი იდეური შინაარსით, მტკიცედ ნერგავდა ახალგაზრდობაში სწავლის წყურვილს და დაბეჩავებული ხალხისათვის თავდადებას და მგზნებარე პატრიოტიზმის გრძნობებს. გოგებაშვილი უახლოეს მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საბავშვო ჟურნალების „ნობათის" და „ჯეჯილის" გამოცემაში.

იაკობ გოგებაშვილის დაუღალავ შრომას და შემოქმედებას, მის ძვირფას მემკვიდრეობას მხოლოდ სტალინურ ეპოქაში ეძლევა ღირსეული დაფასება. დღეს ქართველი ხალხი სიყვარულით შოსავს და აღფრთოვანებით იხსენიებს მის სახელს, როგორც თავისი ქვეყნის დიდი მოამაგის და კეთილშობილი ადამიანისას. ამიტომაა, რომ დღეს მისი დაბადებიდან ასი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მოწყობილი იუბილე ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმა სახალხო ზეიმად აქციეს.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ბერლინი, 25 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, დღევანდელმა ბომბარდირებამ განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ინგლისს.

ლონდონში დაზიანდა დოკები და მრავალი ნაგებობა ჰაიდპარკის დასავლეთ ნაწილში. ლონდონის ცენტრში და ქალაქის სამხრეთ ნაწილში დანგრეულია მეტად მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოები და სამხედრო მომარაგების საწარმოები. მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. აფეთქებულია საქარხნო ნაგებობანი ბრომლეიში, ლონდონის სამხრეთ ნაწილის განაპირა უბანში.

ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის 14 თვითმფრინავი. გერმანიის 4 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ომი ზღვაში

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის თვითმფრინავმა ფრიზის კუნძულებთან ნაღმები ესროლა გერმანიის ტრანსპორტებს, რომლებიც სამხედრო გემების თანხლებით მიდიოდნენ. მტრის ერთერთ გემზე ძლიერი აფეთქება მოხდა. ინგლისის თვითმფრინავის მფრინავებმა დაინახეს, რომ მტრის ორი გემი ჩაიძირა. ინგლისის მეორე თვითმფრინავმა ტრონჰეიმთან ტყვიამფრქვევები დაუშინა გერმანიის კიდევ ერთ გემს.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ტრაულერები „ველია" და „ლორდ სტემპი" ნაღმებს წააწყდა და ჩაიძირა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). ავიაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ გუშინ დღისით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს ოსტენდის, გრაველინს, კალეს მახლობლად მდებარე ქარხნებსა და საქონლის საწყობებს და გემების მებადრაგეებს ზეებრიუგის მახლობლად. ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

24 ოქტომბერს ღამით ყუმბარები დავუშინეთ სამხედრო ობიექტებს ბერლინის რაიონში, ნავთსახდელ ქარხნებს ჰამბურგში, ჰანოვერში, ჰელზენკირხენში, დოკებსა და გემებს ჰამბურგში, კუქსჰაფენში, ბრემენჰაფენში, ვილჰელმსჰაფენში, როტერდამში, ჰავრსა და ლორიანში, სარკინიგზო კომუნიკაციებსა და საქონლის საწყობებს ემერიხში, მიუსტერში, გამში, ბოტროპში, დუისბურგში, ჰამბურგის ელექტროსადგურს, ფლისინგენის, ოსტენდეს და დიუნკერკის ნავსადგურებს, აგრეთვე მტრის რამდენიმე აეროდრომს.

გენერალი ოკინლეკი ინგლისში გერმანელთა შეჭრის შესაძლებლობის შესახებ

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტთან საუბრის დროს ინგლისის სამხრეთის არმიის სარდალმა გენერალმა ოკინლეკმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა გერმანიის ჯარის შემოჭრის საშიშროებაო. შესაძლებელია, რომ მტერი შეეცდება მოულოდნელად შემოიჭრას ინგლისში. ზოგიერთი აცხადებს, რომ მტრის ჯარის შემოსაჭრელად, საჭიროა ზღვა წყნარი იყოსო. მაგრამ, ჩემის აზრით, იერიში ჩვეულებრივი გზით არ იქნება მოტანილი. მე მუდამ ვაფრთხილებ ჩემს ოფიცრებს, —სთქვა ოკინლეკმა,—ნუ გამოიჩენენ ზედმეტ თვითდამშვიდებას და ცუდი ამინდის დიდი იმედი ნუ ექნებათ. ადვილად შესაძლებელია, რომ გერმანელები გამოიყენებენ დაახლოებით 4 ათასი ტონა წყალწყვის სავაჭრო გემებს, მორეკავენ ამ გემებს ნაპირთან, სპეციალურ მოწყობილობის დახმარებით გადმოსხამენ ჯარს. ამის შემდეგ ჯარის გადმოსხმა კარჭაპებით შეიძლება. ამას გარდა, — განაცხადა დასასრულ ოკინლეკმა, —მუდამ არსებობს იმის საფრთხე, რომ მტერი სატრანსპორტო თვითმფრინავებით გადმოსხამს ჯარს.

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს შექმნა ინგლისში

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ბეჭდის შემნახველმა ლორდმა ეტლიმ გუშინ თემთა პალატაში განაცხადა, რომ შექმნილია სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო. მინისტრად დაინიშნება ლორდი რეიტი. სამინისტრო განაგებს მთელ ახალ სამოქალაქო მშენებლობას, აგრეთვე იმ მშენებლობას, რომელიც მთავრობის ამა თუ იმ დეპარტამენტს დასჭირდება. სავსებით ცხადია, — სთქვა ეტლიმ, — რომ სამინისტროს წინაშე დასახულია ომის შემდეგ ქალაქების რეკონსტრუქციის დიდი პრობლემა.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 25 ოქტომბერი (საქდესი). ინგლისის სარდლობა გადმოგვცემს იტალიის რაზმზე ინგლისის მოტორიზებული პატრულის თავდასხმის დაწვრილებით ცნობებს. ეს თავდასხმა 20 ოქტომბერს მოხდა კასალის სამხრეთ - აღმოსავლეთით. ინგლისის ჯავშნიანი მანქანები მტრის ზურგში შეიჭრნენ და სროლა აუტეხეს მას მიზნიდან 100 მეტრის მანძილზე. მოკლულია 50 იტალიელი ჯარისკაცი, დაიჭრა დაახლოებით 400 ჯარისკაცი.

დასავლეთ ნახევარსფეროში არსებული საფრანგეთის სამფლობელოთა ბედი

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამერიკის სხვა რესპუბლიკებთან თანამშრომლობით შეიმუშავეს დასავლეთ ნახევარსფეროში არსებული საფრანგეთის ტერიტორიების ოკუპაციის გეგმა, თუ ეს საჭირო გახდება „დასავლეთის ნახევარსფეროს დაცვის ინტერესების" თვალსაზრისით. ვაშინგტონი დიდი სიფხიზლით ადევნებს თვალყურს საფრანგეთსა და გერმანიას შორის შესაძლო დაახლოების ყოველგვარ ნიშანს.

სააგენტო მოაგონებს, რომ ჰავანის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ ღონისძიებებს იმ შემთხვევისათვის, თუ დასავლეთ სფეროში ევროპის ქვეყნების სამფლობელოთა სტატუტის შეცვლის საფრთხე შეიქმნება.

უმუშევრობა საფრანგეთში

ვიში, 25 ოქტომბერი (საქდესი). საფრანგეთის არაოკუპირებული და ოკუპირებული ზონების პრესა განუწყვეტლივ განაგრძობს დღითი-დღე მზარდ უმუშევრობის პრობლემის განხილვას. როგორც ვიცით, ვიშის მთავრობის ახალი კანონით საფრანგეთში უმუშევრად შეიძლება რეგისტრირებულ იქნას ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი. აგრეთვე უმუშევრობის გამო დახმარებას იღებს ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი მაშინაც, თუ ოჯახში კიდევ რამდენიმე უმუშევარია. მარტო ისეთი უმუშევარი, რომელიც ახალი კანონის თანახმად აღრიცხულ უნდა იქნას, საფრანგეთში ამჟამად ერთ მილიონზე მეტია. პრესა შეშფოთებით იუწყება, რომ მომავალ წელს უმუშევართა ამ არმიას შეიძლება მოემატოს ორი მილიონი ფრანგი სამხედრო ტყვე, რომელიც ახლა გერმანიაში იმყოფება.

პარიზის გაზეთი „ევრი" იუწყება, რომ უმუშევართათვის მომავალ წელს დახმარების გაწევის გეგმის შემუშავებისას ხელისუფალნი ითვალისწინებენ, რომ საფრანგეთში 4 მილიონი უმუშევარი იქნება. რათა უმუშევართა ეს უზარმაზარი არმია უზრუნველყოფილ იქნას თუნდაც მინიმალური დახმარებით, საჭირო იქნება 10 მილიარდი ფრანკი, რაც ვიშის მთავრობას არ მოეპოვება. მეორე მხრივ, მთავრობას არ გააჩნია სახსრები აგრეთვე იმისთვის, რომ ფართო მასშტაბით დაიწყოს მუშაობა ომის შედეგად დანგრეული ქალაქების, გზების, ხიდების და სხვ. აღსადგენად. საფრანგეთის მთავრობამ ამ დღეებში განაცხადა, რომ მას შეუძლია ამ საჭიროებისათვის მხოლოდ 5 მილიარდი ფრანკი გაიღოს წელიწადში. გაზეთი „ევრი" აღნიშნავს, რომ ყოველწლიურად 5 მილიარდი ფრანკი სამუშაო საქმეს გაუჩენს მხოლოდ 350 ათას უმუშევარს. ამასთან, — აცხადებს გაზეთი, — უკანასკნელი გამოანგარიშებით, მხოლოდ ყველაზე გადაუდებელი პირველი რიგის აღდგენითი სამუშაოსთვის დაუყოვნებლივ საჭირო იქნება 25 მილიარდი ფრანკი.

ფინანსისტი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ფინანსები შერყეულია ომით და ომის წინადროინდელი სპეკულაციით. ომის წინ სახელმწიფო ფართოდ აფინანსებდა უამრავ სპეკულიანტს, რომელნიც სამხედრო წარმოებაში იყვნენ მოკალათებულნი. სამხედრო მრეწველობისათვის საჭირო თანხების მხოლოდ 13 პროცენტი მობილიზებულ იქნა კერძო საზოგადოებათა სახსრებიდან, ხოლო დანარჩენი 87 პროცენტი სახელმწიფომ გაიღო, თუმცა საწარმოები ისევ კერძო დარჩა. ომის ხარჯები ერთ მილიარდ ფრანკს უდრიდა ყოველდღიურად. უდიდეს საბიუჯეტო დეფიციტს ქაღალდის ემისიით ჰფარავდნენ. დიდი რაოდენობით გამოშვებული და არაუზრუნველყოფილი ქაღალდის ფულადი ნიშნები ხმარებაში დარჩა. გარდა ამისა, უკანასკნელ თვეებში მოემატა გერმანიის საოკუპაციო არმიის შენახვის ხარჯები, რომლებიც 12 მილიარდ ფრანკს უდრის თვეში.

მოგონებები ი. გოგებაშვილის ცხოვრებიდან

იაკობ გოგებაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი, მოურიდებელი მებრძოლი იყო, კერძო ცხოვრებაში კი მოკრძალებული, მორიდებული, თავდაბალი, არ უყვარდა პოზიორობა, თავისი პორტრეტის გამოფენა.

აი მისი მოკრძალების ერთერთი ნიმუში.

1897 წელს ვ. გუნიას გაზ. „ცნობის ფურცელში" შემდეგი კორესპონდენცია დაიბეჭდა: „დედა-ენის" კითხვის დროს ხშირად ბავშვებს მონატრებიათ იმ კაცის დანახვა, რომელიც ამ წიგნში ამბობს — „მე მსურს, პატარა ქართველებს ზოგიერთი ამბავი გადმოგცეთ", — „ვინ გვეუბნება ამასაო", როგორი კაცია ამისი მთქმელიო და სხვ.—კითხულობენ ბავშვები. თუმცა მასწავლებელი უხსნის, ვინც არის ამისი მთქმელი, მოწაფეებს მისი მთქმელის სურათის ნახვაც კი მოუსურვებიათ და რომ ვერ უნახავთ, გულნატკენნი დარჩენილან.

„ამისათვის ურიგო არ იქნებოდა, რომ დიდად პატივცემული ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი ბავშვების სურვილს დააკმაყოფილებდეს, რომლებსაც ასე მჭიდროდ გასჯდომიათ ძვალრბილში მისი ნახვის სურვილი და შემდეგისათვის მაინც თავის შედგენილ წიგნებში ჩაურთავდეს თავის სურათსაც, როგორც რუსულ დედა-ენას აქვს ჩართული მისი ავტორის სურათი" (იხ. „ცნობ. ფურც." 1897 წ. № 404 გვ. 3)

მიუხედავად ამისა, იაკობ გოგებაშვილმა თავისი სურათი მაინც არ ჩაბეჭდა „დედა-ენაში". იმდენად ეკრძალებოდა. ისე კი სწამდა, რომ, თითქოს ბავშვობიდანვე პედაგოგად იყო დაბადებული და მისი წინაპრების სხეულშიც პედაგოგის სისხლი სჩქეფდა.

○

1910 წ. იანვრის 2-დან დავიწყე ჩემი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების" გამოცემა.

ერთ დღეს იაკობ გოგებაშვილმა რედაქციის კარი შემოაღო:

— შეიძლება შეგაწუხოთ? — რაღაც უცნაური მოკრძალებით შემომეხმაურა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მივუგე და კართან მივეგებე.

ეს ერთ დროს ახოვანი კაცი, რაღაც დაპატარავებულად მეჩვენა, მეუცნაურა.

— თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს...

— მიბრძანეთ.

უბიდან ხელთნაწერი ამოიღო.

— აი რა: შეიძლება თუ არა ჩემს წერილს თქვენს ჟურნალში ადგილი დაუთმოთ?

— სიამოვნებით.

— მაგრამ იცოდეთ, თქვენი ჟურნალის პროგრამის ფარგლებს სცილდება, — ეს არ არის სათეატრო წერილი... სულ სხვა შინაარსისაა...

— რაც უნდა იყოს, — იაკობ გოგებაშვილის კალმის ნაყოფი, რომელი რედაქცია დაუკეტავს კარებს...—მივუგე.

იამა. თითქო სახეზე ნათელი მოეფინა და მომიგო:—საქმეც ეგ არის დაუკეტეს და მგრადაც დაუკეტეს,—ავტორი პანღურითაც გამოისტუმრეს.

მეოცა, შევაშტერდი.

— არ გჯერათ განა!..

— როგორ დავიჯერო, იაკობ გოგებაშვილის წერილი არ დაბეჭდეს და... „პანღურიც", — ეგ რა გამაგონეთ!

— ვითომ რატომა?

— იაკობი იმ რიგის მწერალია, რომელიც ყველა თავის სიტყვაში პასუხს აგებს და მთელი ქართული პრესა მას წინ ფიანდაზად უნდა გადაეფინოს!

იაკობი წელში გასწორდა.

— გმადლობთ მაგ თავაზიანობისათვის, მაგრამ ფიანდაზს არა ვთხოულობ, მხოლოდ გთხოვთ გაზეთის მცირე ადგილს ჭეშმარიტების აღსადგენად, სიმართლის გამოსარკვევად... და თუ დამიბეჭდავთ, მცირე შენიშვნაც უნდა გამიკეთებინოთ სქოლიოში.

— მიბოძეთ!

— აი ეს წერილი. შენიშვნასაც აქვე დავწერ, თუ ნებას მიბოძებთ...

— ინებეთ!..—საწერ-კალამი და ქაღალდი გავუწოდე. მე წერილი ჩავათვალიერე.

წერილში აღნიშნული საგნის შესახებ ქართულ პრესაში პოლემიკა იყო ატეხილი. იმ დროის რედაქციის ბატონ-პატრონებს ეს საკითხი ალბათ თავმოსაბეზრებლად მოსჩვენებოდათ და იაკობისათვის წერილი არ დაებეჭდათ. ეს წერილი აქ მომყავს იმის ცხადსაყოფად, რომ ახალმა თაობამ გაიგოს, თუ ისეთ ბუმბერაზებსაც კი, როგორიც იაკობ გოგებაშვილია, რა ბრძოლა უხდებოდათ როგორც გარეშე, ისევე შინაურ მოწინააღმდეგეებთან.

აი ეს წერილიც თავისი შენიშვნით:

„პატარა ღია პასუხი*) დიდს ღია წერილზე

ბატონო ლავრენტი წერეთელო! ჩემის მხრივ უზრდელობა იქნება უპასუხოდ დავსტოვო თქვენი ღია წერილი, ჩემდამი მიმართული. ამის გამო მოგახსენებთ შემდეგსა: „დედა-ენის" უკანასკნელს ოცდა-მეათე გამოცემაში, რომელიც უკვე ათასობით მოიფინა საქართველოში, ოფოფი აღარ გაიძახის არც „კუკუსა" და არც „პოპპოპსა". მთლად დამუნჯებულია. და შემდეგშიაც მუნჯად დარჩება, რადგანაც **„დედა-ენას" პირიდამ ეკარგება ყოველი საეჭვო რამე.** და ეს დამუნჯება ახლაც არის ამ ფრთოსანზე, რომელიც იმდენად გაურკვევლად ბურტყუნებს, რომ ერთს ქვეყანაში ასე ესმით მისი ბურტყული, მეორეში ისე, მესამეში სხვაფრივ და სხვანი. არა ჰგავს გუგულსა, რომელიც ერთსა და იმავე გარკვეულს ხმას მკაფიოდ გაიძახის ყველგან და მოაგონებს ინტელიგენტს, რომელიც მტკიცედ და ცხადად ადგია ერთსა და იმავე მიმართულებასა ყველგან და ყოველთვის.

თქვენ, ბატონო წერეთელო, თქვენსას მაინც ნუ დაიშლით, აბრძანდით თქვენს ახალ სამშობლოში — შინდისში, ახალი, დაწვრილებითი გამოძიება მოახდინეთ შინდისელი ოფოფის ხმაურობის შესახებ, ნოტებზე გადაიღეთ მისი ბურტყული, გრამოფონშიაც ჩაბეჭდეთ, როგორც ეს გირჩიათ „სახალხო გაზეთის" ასოთამწყობმა და გამომშვევეთ, გამოაქვეყნეთ. და ყველა პედაგოგს, რომელიც ისარგებლებს თქვენი აღმოჩენით, გადაახდევინეთ **თქვენი** ასი თუმანი, არც მეტი და არც ნაკლები.

იაკობ გოგებაშვილი"

იაკობ გოგებაშვილის ეს წერილი დავბეჭდე „თეატრი და ცხოვრების" № 39-ში, 1910 წ. ოქტომბრის 3-ს.

იოსებ იმედაშვილი

---

*) ბატონო რედაქტორო! ეს პატარა წერილი გავგზავნე დასაბეჭდად „სახალხო გაზეთში", სადაც იყო მოთავსებული ბ-ის წერეთლის ღია წერილი. მაგრამ რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭდვა. მართალია თვით მან, რედაქციამ სამასხარო კუდი გამოაბა წერეთლის წერილს ასოთამწყობისა სქოლიოთი, მაგრამ ეს მაინც მე უფლებას არ მაძლევს უპასუხოდ დავტოვო ღია წერილი და არ ვუძღვნა ღიავე პასუხი ბ-ნს წერეთელს. ამის გამო გთხოვთ ეს ჩემი რამდენიმე სტრიქონი მოაქციოთ თქვენს ჟურნალში.

იაკობ გოგებაშვილი.

სახელმძღვანელო „დედა ენა" აღდგენილია

სახელგამმა გამოსცა ი. ს. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედა ენა", რომელიც აღდგენილია, თანახმად რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებისა, 1912 და 1916 წლების გამოცემის მიხედვით.

○

სახელმძღვანელო „დედა ენა", რომელიც ი. გოგებაშვილმა უახლესი პედაგოგიკის მოთხოვნილებათა მიხედვით შეადგინა, 1876 წელს გამოვიდა და გამოდიოდა 1925 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში წიგნი სულ 1.226.970 ცალად გამოვიდა. 1906 წელს ი. გოგებაშვილმა სახელმძღვანელო ორ ნაწილად გაჰყო. ამასთანავე პირველი ნაწილი სწავლის პირველი წლისათვის იყო ნავარაუდევი.

ი. გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოში დროდადრო გაუმჯობესება შეჰქონდა; იგი გულმოდგინედ არჩევდა მასალას, სარგებლობდა პედაგოგების, მწერლების მითითებით, შენიშვნებით და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელთა რჩევით. ამასთანავე გოგებაშვილი უხვად იყენებდა ფოლკლორის მასალას.

1912 წელს ი. გოგებაშვილს ხელახლა უნდა გამოეცა „დედა ენა", მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა ამ განზრახვის შესრულება. [illegible] სახელმძღვანელო მხოლოდ 1916 წელს გამოვიდა. ამ წელს გამოცემულ „დედა ენაში" შეტანილია ამხანაგ სტალინის ლექსი „დილა", რომელიც პირველად გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა 1895 წლის 14 ივნისს. სილამაზითა და იდეური შინაარსით ეს ლექსი მეტად მოსწონდა ი. გოგებაშვილს და განზრახული ჰქონდა თავის სახელმძღვანელოში შეეტანა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კომისიამ პედაგოგ ლოთარსაბ ბოცვაძის თავმჯდომარეობით 1916 წელს განიხილა ი. გოგებაშვილის მიერ დატოვებული მასალა სახელმძღვანელოსი და მასში აღმოაჩინა ლექსი „დილა". კომისიამ ხმის უმეტესობით დაადგინა სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაში შეეტანა ეს ლექსი (საქდესი).

უკრაინა—საქართველო

მატჩი მძლეოსნობაში

უკრაინისა და საქართველოს მძლეოსნების ტრადიციულ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ უკრაინის სპორტსმენები-მძლეოსნები.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ორდენოსანმა ა. ბეზრუკომ განაცხადა: ჩვენს დელეგაციაში 25 კაცია, მათ შორის უკრაინის საუკეთესო მძლეოსნები, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. არტამონოვი, ზ. სინიცკაია, მსოფლიო რეკორდსმენი კ. შილო, 1940 წლის ჩემპიონები ე. ადამენკო, ვ. სიდორკო, პ. საველიევი, ნ. ბუიანოვა, აგრეთვე რეკორდსმენები — უკრაინის ჩემპიონები ო. კრიუკოვსკი, ი. ანისიმოვი, ო. კოლომიიცევი, გ. რაევსკი და სხვ.

უკანასკნელი ტრადიციული შეხვედრა, რომელიც კიევში სწარმოებდა, მოვიგეთ ჩვენ, ახლა კი საპასუხო ვიზიტით ჩამოვედით მზიურ საქართველოში. ჩვენ კარგად მოვემზადეთ ამ ტრადიციული შეჯიბრებისათვის, მოძმე რესპუბლიკის ფიზკულტურელებთან შეხვედრით შევაჯამებთ ჩვენს შეჯიბრებას. დღეს ჩვენ დავათვალიერეთ ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვტოვა, შესანიშნავია ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონი.

უკრაინის მძლეოსანთა დელეგაცია გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ჩვენი ძმური მგზნებარე ფიზკულტურული სალამი გადასცეთ მზიური საქართველოს მშრომელებს.

★ 27 და 28 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდება ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს შეჯიბრება. შეჯიბრება დაიწყება ვაჟთა და ქალთა გუნდების წინასწარი შეჯიბრებით რბენაში. შეჯიბრების პროგრამაში შეტანილია აგრეთვე ჭოკით ხტომა, ბადროს ტყორცნა, რბენა ბარიერებით, ბირთვის კვრა, მშთ დაბრკოლებათა ზოლი, რბენა 5000 მეტრზე, 3000 მეტრზე და სხვ. შეჯიბრების დასაწყისი დილის 10 საათზე და ნაშუადღევის 4 საათზე.

გუშინ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი — რეკორდსმენი სტეპანჩენკო (მოსკოვი).

წინასაოქტომბრო საკოლმეურნეო ბაზრობა

ხვალ თბილისში იწყება წინასაოქტომბრო სადღესასწაულო საკოლმეურნეო დიდი ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებენ ორდენოსანი საქართველოს რესპუბლიკის რამდენიმე ათეული რაიონის მოწინავე კოლმეურნეობა და კოლმეურნეები.

საკოლმეურნეო ბაზრობისათვის ფართოდ ემზადებიან დუშეთის, გორის, თელავის, აღბულაღის და სხვა რაიონების კოლმეურნეობები, რომელნიც თბილისის მშრომელთათვის ჩამოიტანენ ბოსტნეულს, შინაურ ფრინველს, ხორცს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს.

წინასაოქტომბრო საკოლმეურნეო ბაზრობაზე კოლმეურნეთა მისაღებად გაცხოველებით ემზადებიან თბილისის ყველა საკოლმეურნეო ბაზრები.

ბაზრობისათვის გაცხოველებით ემზადებიან აგრეთვე თბილისის სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციები შემხვედრი ვაჭრობისათვის. მათ მიერ გამოყოფილია 4 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი.

საკოლმეურნეო ბაზრებზე კოლმეურნეებს უკვე ჩამოაქვთ პროდუქტები, ბოსტნეული, შინაური ფრინველი და სხვ., რის გამო ბაზარზე უკანასკნელ დღეებში პროდუქტებზე შედარებით დაიკლო ფასმა. მაგალითად, საქონლის ხორცი ღირს 18-20 მანეთი, ინდოური 25-30 მანეთი. ასევე დაიკლო ფასებმა ბოსტნეულზე და სხვა პროდუქტებზე.

პლაკატი „ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა"

გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციამ გამოსცა მხატვრული პლაკატი „ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა".

პლაკატი შეიცავს ი. გოგებაშვილის ბიოგრაფიას, მის პორტრეტებს, „დედა ენის", „ბუნების კარის", „რუსკოე სლოვოს" გარეკანის ფოტოსურათებს.

პლაკატზე დაბეჭდილია ამხანაგ სტალინის ყრმობის ლექსი „დილა", რომელიც გამოქვეყნებული იყო 1895 წელს „ივერიაში".

იაკობ გოგებაშვილის სახლი სოფ. ვარიანში (გორის რაიონი).
ფოტო რ. აკოფოვისა.

ი. გოგებაშვილის საიუბილეო საღამო

გუშინ ი. გოგებაშვილის საღამოს მწერალთა სახლში დიდძალი ხალხი დაესწრო. ირ. აბაშიძის შესავალი სიტყვის შემდეგ ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი, შინაარსიანი მოხსენება გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. დ. ყიფშიძემ. მომხსენებელმა განიხილა ი. გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი, დაახასიათა მისი სახელმძღვანელოები და დაწვრილებით ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორი შეუპოვრობით იბრძოდა იაკობი ხალხის გათვითცნობიერებისათვის.

საინტერესო მოგონებებით და სიტყვებით იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობასა და მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე გამოვიდნენ მწერლები ნინო ნაკაშიძე, ლეო ქიაჩელი, ლევან მეტრეველი, თედო სახოკია, იოსებ მჭედლიშვილი და ილია სიხარულიძე. პოეტმა გიორგი კაჭახიძემ წაიკითხა იაკობისადმი მიძღვნილი ლექსი „დედა-ენა".

ლექციები და მოხსენებები

28 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. **ფრიშმანბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში (ლენინის ქ., № 41) დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში 29 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. 30 წ. შესდგება ლექციები: **„ბოლშევიკური აგიტაციის ფორმები და მეთოდები"** — ლექტორი ამხ. **ვ. იმედაშვილი** (ქართულ ენაზე); **„ბოლშევიკური აგიტაციის ფორმები და მეთოდები"** — ლექტორი ამხ. **ა. ნიკიტენკო** (რუსულ ენაზე).

29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის სალექციო აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1), ალპინიზმის ოსტატი ალ. ჯაფარიძე წაიკითხავს მოხსენებას: „კავკასიონის ცენტრალური ნაწილის (წურუნგალი-შხარის) ამხ. ლ. პ. ბერიას სახელობის ტრავერსი".

შესვლა თავისუფალია.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სანკულტურის ქართული თეატრი — „სტუმარ-მასპინძლობა", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „ქაჯანა" (მე-9 აბ.). **დღისით** — „ქაჯანა" (მე-6 აბ.), **გრიბოედოვის სახელობის** — „დედინაცვალი" (აბ. გარეშე), **სომხური დრამა** — „ნამუსი" (აბ. გარეშე).

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ახალი დროება", **დღისით** — „საუცხოო ხომალდი". **ოქტომბერი** — „არსენა", **დამკვრელი** — „გრუნია კორნაკოვა", **დღისით** — „მინინი და პოჟარსკი", **კომკავშირელი** — „ცამეტნი". **ლუქსემბურგის სახ.** — „ვოლგა-ვოლგა". **დღისით** — „ფედკა", **სპარტაკი** — „ზელიმხანი", **26 კომ. სახ.** — „უმზითვო პატარძალი", **კომინტერნი** — „გიული", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „დუნაიზე". **განთიადი** — „მთის ნაკადი", **წითელი არმიის სახლი** — „განთავისუფლება" და „ფეხბურთელები", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „მშვენიერი ვასილისა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
27 ოქტომბერს მე-11 აბ. 1 წარმ.
კაკო ყაჩაღი
29 ოქტომბერს მე-3 აბ. მე-2 წარმ.
ევგენი ონეგინი
30 ოქტომბერს მე-2 აბ. მე-2 წარმ
კაკო ყაჩაღი
დასაწყისი [illegible] 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
27 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე
29 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე
30 ოქტომბერს
გრაფის ქვრივი
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
27 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
27 ოქტომბერს დღის წარმოდგენა კოლმეურნის ქორწინება
დასაწყისი დღის 12 ს.

გაიხსნა
უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის მისაღებად საექსტერნო კურსები.
მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის, 2. ვერის ბაზრის ახლოს. მსმენელთა მიღება საღამოს 7 საათზე.
8502
დირექცია.

მე-29 საშუალო სკოლასთან გახსნილია უმაღლესი სასწავლებლებისათვის
მოსამზადებელი კურსები
აქვე გახსნილია საექსტერნო კურსები საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატის მისაღებად.
პირობების გაგება ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე
ორივე კურსებზე იქნება ქართული და რუსული სექტორები.
საბჭოს ქუჩა, № 75; ტელეფონი 3-44-21.
8524
კურსების დირექცია.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
1940-1941 წ. წ. სეზონისათვის გამოშვებული შეღავათიანი ინდივიდუალური აბონემენტები. დაკვეთების მიღება წარმოებს რწმუნებულების საშუალებით და ფილარმონიის სალაროში.
სალარო ღიაა ყოველდღე დილის 12-დან 4 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე. ტელ. №№ 3-80-00 და 3 45-80

რუსთაველის სახელობის თეატრს
ესაჭიროება დამლაგებლები
პირობების გაგება რუსთაველის თეატრის ადმინისტრატორთან
დილის 10-დან დღის 4 საათამდე.
რუსთაველის პროსპექტი, 21.
50

გრამიტონ, თამარ, ოთარ, მერი და შალიკო ლევიძეები იუწყებიან
სადიკო იორამის-ასულ გამყრელიძის
გარდაცვალებას. 8532

შვილები მაგდა, სალომე, გეგენო, სიძეები გ. მხეიძე და პ. ულენტი იუწყებიან
ელენე გიორგის-ასულ კლიმიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X 2 ს. ბარნოვის, 82 (ვაკე). 8553

თ. ხომერიკი, მ. მელაძე, ჟუჟუნაძე, მირიანაშვილი, ცხვედიანი, ბუთხუზი, ხაბურზანია, იორდანიშვილი, ავალოვა, მარმარაშვილი, კ. აკერმანი, დ. ხელიძე, ბახტაძე იუწყებიან ლევან იაგორაშვილის მამის
დიმიტრი იაგორაშვილის
გარდაცვალებას. 8561

ლუბა ალექსანდრეს-ასული კლიმიაშვილი შვილებით თამარით, ალექსანდრეთი, დათიკოთი, რძლით ნელი წერეთლით, სიძით გრიგოლ კიკნაძით იუწყება
ელენე გიორგის-ასულ კლიმიაშვილის
გარდაცვალებას. 8565

სიძე გიორგი შვილებით: კლიმენტი, ვარუსია ქმრით, ტატა, პეტუშა ცოლშვილით, გიგუშა მაჭარაძეები იუწყებიან
ელუკი ჭავჭანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა წულუკიძეში 27/X. 8554

დეიდა მარიამ, დეიდაშვილები გრიგოლ, ნინო, თამარ, სიძე იოსებ, რძალი გურარიკა იუწყებიან
პავლე პეტრეს-ძე კეზერელის
გარდაცვალებას. გამოსვენება არაგვის, 3, 27/X 3 ს. 8560

და ნელი, ბიძები პავლე და კოლია საყვარელიძეები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 27/X ს. დილიკაურში დანიშნულია
ბაჩანა (მიხა) დიმიტრის-ძე საყვარელიძის
პანაშვიდი. 8555

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვასო კაპიანიძეს მისი ძმის
ამბროსი (აბიბო) კაპიანიძის
გარდაცვალების გამო. 8556

შვილები ნატო, ლიზა, არჩილ, ქეთო, სიძეები ს. მგალობლიშვილი, კ. მაღლაკელიძე, შვილიშვილები ციალა, თეიმურაზ, გურამ, ლიანა იუწყებიან
ნინო ჩოფიკაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ყაზბეგში 27/X. 8557

„სოიუზუტილის" საქ. კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კანტორის თანამშრომლის ვალერიან ალადაშვილის მამის
სიმონ ალადაშვილის
გარდაცვალებას. 8559

მშობლები ბაგრატ, სონია მიქაძეები, ბაბუა ილიკო კვერნაძე ოჯახით, ბიძები გრიშა, ვალიკო, კოლია კვერნაძეები ოჯახებით იუწყებიან
პატარა რუარდის
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X 4 ს. გლდანის, 2 კუკიის სასაფლაოზე. 8534

ნინო ტყემალაძე შვილებით მათიკოთი, ირინათი, სიძეებით კ. ხახუტაშვილით, ო. მონცელიძით და დეიდა თალიკო იუწყებიან
სადიკო (სარდილი) გამყრელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X 1 ს. ატენის შესახვევი, 5. 8537

ანა ქვლივიძე შვილებით, ნინო ქმრით, ივანე და ირაკლი გამრეკელი ცოლით იუწყებიან სიძის
ვლადიმერ გიორგის-ძე კობახიძის
გარდაცვალებას გამოსვენება 27/X 2 ს. არსენას, 38, ვერის სასაფლაოზე. 8540

მულები ანასტასია გედევანიშვილისა, მარიამ ტუსიშვილისა და ლუბა კლიმიაშვილი ქმრით ისაკით იუწყებიან რძლის
ელენე გიორგის-ასულ კლიმიაშვილის
გარდაცვალებას. 8541

მე-33 საშ. სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი ტექნიკურ თანამშრომლებთან ერთად იუწყებიან მასწავლებელ აკაკი ნიბლაძის შვილის
შოთა ნიბლაძის
გარდაცვალებას. 8551

და იულია კიკნაძისა, ბიძაშვილები არჩილ, ვარა, მარო გამყრელიძეები იუწყებიან
სადიკო იორამის-ასულ გამყრელიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X 1 ს. ატენის შეს. 5. ვაკის სასაფლაოზე. 8552

ცოლი ანა, შვილები: სულიკო, მანია, ლიდა, მირიანი. რძალი ქეთო, მშობლებით გიორგი, მარიამი, ძმებით ვახტანგი, ოსიკა ანდღულაძეები იუწყებიან
ბესარიონ მალანიას
გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვებ ბის 3—81—65, გამომცემლობის—51—81, სტამბის დირექტორის— 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 1780